საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 22 იანვარი, 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი ზირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისია განცხადებები არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრუზინსკის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 15 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 15

დიდათ ღირსი დესპინე ნიჟარაძის ასული კანდელაკისა, მაზლი პეტრე ლუკას ძე კანდელაკი, მულები იუდითი კალანდარიშვილისა, ბარბალე ქელიძისა, სონა ჯაფარიძისა თავიანთი ქმრებით და იულია ბაგრატიონისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

**ივლიტი ახვლედიანის ასული კანდელაკისა**

გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე, ხუთშაბათს, 22 იანვარს. (238 3—2)

უზომოთ დამწუხრებულნი ოლიმპიადა, კატო, თამარა, ცუცუნა, ტუკია და კაკო ერმალოზის ასულნი და ძენი კანდელაკები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

**ივლიტი ახვლედიანის ასული კანდელაკისა**

გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 22 იანვარს, სოფ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე (238—2—2)

შვილები: კატო ჟორჟოლიძე, დარია გედევანიძე, ეგრატინე თავაძე, სალომე აროშიძე, სიძეები: დათიკო ხარალიძე, სოლომონ თავაძე და სევერიანე აროშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 22 იანვარს, ხუთშაბათს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე პირველთა დედის და მეორეთა სიდედრის

**ალათი ლოლუას ასული ჭელიძის**

სულის მოსახსენებლად. (247—2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანნა იოსების ასული თოუროვისა, შვილები: ელენე და ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**კონსტანტინე გიორგის ძე თოუროვი**

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათს, 22 იანვარს. გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (თამარის ქუჩა № 1) დილის 12 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (245—2—2)

საქართველოს ცენტრ. კოოპ. კავშირი ამით აცხადებს, რომ გარდაიცვალა კავშირის საპნის ქარხნის გამგე

**კონსტანტინე გიორგის ძე თოუროვი**

დაკრძალვა ხუთშაბათს, დილის 12 საათზე, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (245—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი ქვრივი ალექსანდრა ისიდორეს ასული ნიქაბაძე-მგებროვისა გულითად მადლობას სწირავს ყველა იმ ნათესავებს, ნაცნობებს, მეგობრებს და საზოგადო დაწესებულებებს, რომელთაც გაიზიარეს მისი მწუხარება წერილობით, დეპეშებით, ან და პირადათ მისი ქმრის

**პეტრე ალექსანდრეს ძე მგებროვის**

გორის სახალხო გვარდიის სარდლობის შტაბის წევრის და მდივნის (ქიმიკოსის) უდროოდ გარდაცვალების გამო 5 იანვარს ქ. გორში. (253—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა თომა, დედა ანნა, ძმა აკაკი და და იულია ჯლამაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, პირველი ორის ძვირფასი შვილის და და ნარჩენის დაუვიწყარი დის

**მარო (მარუსია) ჯლამაძის**

გარდაცვალებას, გამოსვენება 23 იანვარს (ძ. სტ.) დილით ათ საათზე ბინიდან, ჩერქეზოვის ქუჩა სახლი № 203. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (252—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: იოსებ, მარიამ, ხინა, ბაბალე და თამარა, რძალი ნინა, შვილიშვილები: ვანიჩკა, შაქრო და ირაკლი მამაცაშვილები, სიძეები: მიხეილ ფურცელაძე, ილიკო გიდევანიშვილი და ილიკო გაშაკაძე, ძმები: ბესარიონ და ნიკოლოზ ბათიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 20 იანვარს სოფ. რუისში (გორის მაზრა) ფილტვების ანთებით

**ეკატერინე ლევანის ასული მამაცაშვილისა**

დასაფლავება სოფ. რუისშივე 22 იანვარს. ამ დღესვე გადახდილი იქნება წლის წირვა აწ განსვენებულის მეუღლის

**ზაალ იოსების ძე მამაცაშვილის**

მოსახსენებლად. (255—1—1)

ტფილისის დეპოს ორთქლმავალთა ბრიგადების სექცია და დეპოს ქვე რაიონული კოლექტივი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს მემანქანე

**არქიპო ივანეს ძე პაპაურიძეს**

ტრაგიკულად დაღუპვას.

გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (6. 1—1)

ჩამოვიდა პეტროგრადიდან

ბავშვების ექიმი

მედიცინის დოქტორი

**ვ. ვ. შენგელიძე**

და ღებულობს ავადმყოფებს პეტროგრადის ქუჩაზე № 7 1—3 საათამდის. ტელეფონი 3—69. (242—1—1)

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე

**ცეხანოვსკი**

სპიტრნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

## ბოლშევიზმის მოშინაურება

უკანასკნელმა დეპეშებმა მოგვიტანა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც მაუწყებელია „შეთანხმების“ სახელმწიფოთა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის ძირითად შეცვლისა. მკითხველს ეხსომება, რომ „ანტანტის“ სახელმწიფონი, მეტადრე ინგლისი და მისი მეთაური ლოიდ-ჯორჯი ამ უკანასკნელ თვეებში ცდილობენ მოსკოვის კომუნისტები „მოიშინაურონ“. ამის მაჩვენებელია ის ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებს ქ. კოპენჰაგენში ინგლისის წარმომადგენელ ო. გრედის და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ლიტვინოვს შორის.. მოლაპარაკების დასაწყისიდანვე ბოლშევიკურ მთავრობის ქცევაში იყო იმის ნიშნები, რომ ისინი მზად არიან ევროპის სახელმწიფოებთან დაამყარონ ერთნაირი „მოდუს ვივენდი“, ერთნაირი წესიერ კალაპოტში ჩაყენებული ურთიერთობა. თავიდანვე ემჩნეოდა, რომ, მიუხედავათ მყვირალა ფრაზებისა ძლიერ სახელმწიფოთა „ავაზაკობაზე“, მიუხედავათ იმ „ზიზღისა“, რომელსაც კომუნისტები გრძნობენ იმპერიალისტების მიმართ, ისინი უარზე არ იქნებიან შეურიგებლობის გზა დასტოვონ და ამა თუ იმ პირობებში მოურიგდენ ევროპის იმპერიალიზმსო.

დღეს უკვე არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს მორიგება მომხდარა, რომ მოსკოვის კომუნისტებს უპოვიათ ევროპის იმპერიალიზმთან სალაპარაკო ენა, რომ ლენინ-ტროცკი და ლოიდ ჯორჯ-ნიტტი შეთანხმებულან მშვიდობიან ურთიერთობის პირობებში.

შეთანხმება ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფაქტიურია, იგი კულისებს უკან მომხდარა, ამ შეთანხმების ფორმალურს აქტს (თუ კი იგი დაიწერა) ფართო საზოგადოება არ იცნობს. მაგრამ ორმხრივი ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ეს შეთანხმება შეიცავს საბჭოთა რუსეთისათვის ხელსაყრელ პირობებს და საბჭოთა რუსეთს ეს პირობები უყიდნია ძლიერ არსებითი პოლიტიკური დათმობით, თითქმის პოლიტიკურ მთელ სისტემის შეცვლის ფასით.

საბჭოთა რუსეთისათვის ხელსაყრელი პირობები, რომლებსაც ეს ფაქტიური შეთანხმება შეიცავს, იმაში მდგომარეობს, რომ „ანტანტის“ სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთს ბლოკადას ხსნიან და მასთან სავაჭრო-საურთიერთო ურთიერთობას აბამენ. „სტეფანის სააგენტო“ „ანტანტას“ ამ ნაბიჯს ასე გადმოგვცემს: „მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: დაიწყოს საქონლის გაცვლა რუს-მცხოვრებთა მოკავშირეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის იმ მიზნით, რომ რუსეთში შეიზიდოს ტანსაცმელი, მედიკამენტები, სამეურნეო იარაღები და სხვა საგნები ხორბლეულზე, სელზე და სხვა საგნებზე გადასაცვლელად“. საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, არას ჰკარგავს იმით, რომ უმაღლესი საბჭო „რუს-მცხოვრებლებზე“ ლაპარაკობს და საბჭოთა რუსეთის მთავრობის სახელის ხსენებას გაურბის.

რას უთმობს სამაგიეროთ საბჭოთა რუსეთი? მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა „სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის“ და „სახალხო კომისრების საბჭოს“ ერთს ბრძანებას, რომელიც სწორედ იმ დღეებში გამოიცა, როდესაც „ანტანტის“ სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ რუსეთს ბლოკადა მოხსნა. ეს ბრძანება სიკვდილით დასჯის მოსპობას შეეხება, მაგრამ, ვინც ჩაუკვირდება ბრძანების ტექსტს, მეტადრე იმ კომენტარიებს, რომლებიც სრულიად რუსეთის „ჩრეზვიჩაიკამ“ გამოაქვეყნა, მიხვდება, რომ აქ მხოლოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ აქ საქმე გვაქვს მთელ ტერორისტულ სისტემის შეცვლასთან. ამ ბრძანებაში საბჭოთა რუსეთის მესვეურთ ჯერ მოჰყავთ ის საბუთები, რამაც „სოვნარკომი“ აიძულა ტერორისტულ სისტემისათვის მიემართა დღეს „წითელმა რუსეთმა“ ჰოსპო კონტრ-რევოლიუციის მთავარი ძალები და რევოლიუციას საფრთხე აღარ ელის: „როსტოვის აღება და კოლჩაკის ტყვეთ წაყვანა ჩვენ საშუალებას გვაძლევს ტერორის იარაღი იქით გადავდოთ“. ბრძანების მეორე ადგილას კომუნიზმის მესვეურნი ამ ტერორიზმს პირდაპირ ახასიათებენ როგორც „წითელ ტერორის დაუნდობელ მეთოდს“.

ჩვენ ჯერ ჯერობით არ ვიცით, კიდევ რა ზომები მოჰყვება ამ ტერორისტულ მეთოდზე ხელის აღებას, მაგრამ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს ცვლილება მთელს პოლიტიკაზე იქონიებს თავის გავლენას.

მეორე დათმობა, რომლითაც ბოლშევიკურმა რუსეთმა იყიდა „ანტანტის“ სახელმწიფოებთან მორიგება, როგორც ეტყობა, მდგომარეობს საბჭოთა რუსეთის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ შეცვლაში. მოსკოვის მთავრობა ამ ბოლო დროს უფრო და უფრო აშკარათ ადგა აღმოსავლეთში „ჩამოსხან კომუნიზმის“ გზას: მისი ინტრიგები ავღანისტანში, მისი მოლაპარაკება „ახალგაზრდა ოსმალებთან“, მისი შეთანხმება ბუხარის ემირთან,—ყველა ეს ფაქტები ინგლისისათვის უმნიშვნელო არ არის. და საფრანგეთის პრესა პირდაპირ აღნიშნავს, რომ ლოიდ-ჯორჯს ბოლშევიკებთან შეთანხმების საშუალებით სურს ხელი აღებინოს მათ ინტრიგებზე ინგლისის წინააღმდეგ ინდოეთის საზღვრებს ახლოს.

ამნაირათ „ანტანტა“ საბჭოთა რუსეთს „იშინაურებს“. ახლო შეხვედრამ ლიტვინოვის და ო. გრედის მოლაპარაკებამ—ლოიდ ჯორჯს დაანახვა, რომ მოსკოვის მთავრობა არც მთლად სხვა ბუნებისა ყოფილა, ვიდრე ევროპის იმპერიალიზმი, რომ მასთან საერთო ენის გამონახვა ევროპის იმპერიალიზმისთვის არც ისე ძნელი ყოფილა.

## აგრარული რეფორმის დაჩქარება

მიწათ-მოქმედების სამინისტროში მეტად საყურადღებო თათბირი სწარმოებს. მინისტრის თაოსნობით მოწვეულია ყველა ერობების, სადგილ-მამულო განყოფილებების და მიწის მზომელთა წარმომადგენელნი.

თათბირის დღის წესრიგში ოცი მნიშვნელოვანი საკითხია გასარჩევი. ცენტრალური ადგილი უჭირავს აგრარული რეფორმის განხორციელების დაჩქარებას. ყველა საკითხები ამ მთავარ საკითხს უკავშირდება. და ეს ასეც უნდა იყოს. რეფორმის დამთავრება დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას იწვევს. გლეხობას აღარ ჰყოფნის მოთმინება და მიწის მიღებას ითხოვს. მართალია, ფაქტიურათ მიწები დღესაც მის ხელშია, მაგრამ რაკი დამტკიცების აქტი ხელთ არ აქვთ, ის მაინც არ არის დამშვიდებული და ეს საშუალებას აძლევს ბნელ ძალებს ამ ნიადაგზე თავის შავი აგიტაცია გააძლიერონ და ასე სოფლის ხალხის მყუდროება და სულიერი სიმშვიდე დაარღვიონ.

ეს გარემოება დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში დაჟინებით მოითხოვს რეფორმის სიჩქარით დამთავრებას. ის მეთოდი, რომელიც რეფორმის გასატარებლათ იყო შემუშავებული, ეჭვი არაა, კარგი და საუკეთესოა, მაგრამ, როგორც ვიცით, ყველაფერი დროზე და პირობებზეა დამოკიდებული. ეს დრო და პირობები კი ისეთია, რომ სიჩქარე და სისწრაფე აუცილებელი ხდება. ამიტომ ეს მეთოდიც უნდა შეიცვალოს.

კითხვა ეხება მიწების დარიგებას. მიწების დარიგება კანონის ძალით შეკავშირებულია დამტკიცების აქტთან დამტკიცების აქტს კი წინ უნდა უსწრებდეს გაზომვა. ამრიგათ რეფორმის დამთავრების საკითხი მჭიდროთ დაკავშირებული შექნა მიწის მზომელთან. მიწის მზომელთა რიცხვი კი იმდენათ მცირეა, რომ რეფორმის დასრულება მეტად გახანგრძლივდება. თათბირზე გამოირკვა, რომ საქმის დაჩქარებისათვის საჭიროა 700—800 მიწის მზომელი, მაშინ, როცა მათი რიცხვი საჭიროების ოცდაათ პროცენტს ძლივს აკმაყოფილებს. აქედან აშკარაა თუ რამდენათ გახანგრძლივდება რეფორმის დამთავრება. ცხადია უნდა გამოინახოს სხვა გზა, სხვა საშუალება.

როგორია ეს გზა?

მიწების დარიგების მუშაობა შეიძლება გაიყოს ორათ. ერთია მიცემა, მეორე—გამიჯვნა. პირველი არ ითმენს გადადებას. მეორე შეიძლება გადადებულ იქნას. პირველი შეკავშირებულია სოფლის კომისიების მუშაობასთან, მეორე—მიწის მზომელთან. მართალია მიცემა შეუძლებელია გაუზომველათ, მაგრამ ასეთი წინასწარი მზომელი არა ერთი და ორი მოიპოვება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მთელი ათეული წლების განმავლობაში მიწები იყიდებოდა მიწის მზომელის გარეშე. გურიაში, და სხვა მაზრებშიაც 1894 წლამდე არც ერთ მიწის მზომელს არ გაუვლია, მაგრამ მიწების ყიდვა-გაყიდვა შეუჩერებლივ სწარმოებდა. გურიაში მიწების გამიჯვნა მხოლოდ 1894 წელს დაიწყო და დღესაც გაუმიჯნავია 24,500 დესეტინაზე მეტი. მაგრამ ამ გარემოებას არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია.

ჩვენ ვფიქრობთ ამ წესით ახლაც შეიძლება სარგებლობა. სოფლიდან მიწები უნდა განაწილდეს ჯერ სოფლებსა და მერე მცხოვრებთა შორის სარაიონო კომისიის საშვალებით რაც შეეხება ღაზომვას, ამას თვით სოფელში შეასრულებენ. ეს იქნება უმთავრესი მუშაობა. ეს შეიტანს ხალხში იმ სულიერ სიმშვიდეს, რომელსაც ასე აძლევს მიწის დაუფლებლობა. გლეხს ეცოდინება, რომ ეს მიწა მისია. ეცოდინება ისიც, რომ შემდეგ ჩამოივლის მიწის მზომელი და შეადგენს სათანადო პლანს. ეს მას სრულიად დააკმაყოფილებს, რადგან, როგორც ზევით ვთქვით, ეს წესი არსებობდა, მას იგი შეეჩვია. დარიგებასთან ერთად უნდა მიეცეს მტკიცების ქაღალდი, სადაც აღნიშნული იქნება მიცემული მიწის რაოდენობა და საზღვრები. ასეთი მტკიცების ქაღალდიც არ ახალი იქნება მისთვის. ყველა ძველ საბუთებში მას უწერია: „ივრცე მაგალითად ამდენი და ამდენი“ ანდა: „სივრცით დაახლოვებით ამდენი და ამდენი“. როცა მიწის მზომელი გამიჯნავს და პლანს აიღებს, შეიძლება მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს, მაგრამ ამით არც რესპუბლიკა დაჰკარგავს რამეს და არც გლეხი.

ამ რიგათ მიწის დარიგების საკითხი არ უნდა დაუკავშიროთ მის ფორმალურ გამიჯვნას და სათანადო აქტის შედგენას მხოლოდ ამის შემდეგ. გამიჯვნა უნდა იყოს მეორე პირი მუშაობა. ეს გადადებასაც ითმენს და გახანგრძლივებასაც. საჭიროა პირველი სახის მუშაობა და აქ სხვა გამოსავალი არ არის, გარდა ზემოთ ნაჩვენებისა. ეს მისაღებიცაა, არც არეულობას გამოიწვევს და გლეხობასაც დააკმაყოფილებს. ამიტომ ჩვენი სურვილია თათბირმა და უწყებამ გაიზიაროს ეს აზრი და მით ხელი შეუწყოს რეფორმის დაჩქარებას. ამ გზით მუშაობა სულ მოკლე ხანში შესაძლებლობას გვაძლევს მიწების დარიგების უმთავრესი ნაწილის დამთავრებას. ეს კი, ვიმეორებთ, თავი და თავია და ამ მხრით უნდა იქნას მიქცეული, როგორც უწყების ისე თათბირის უმთავრესი ყურადღება.

თვით თათბირის მოწვევა და მისი გასარჩევი საკითხები საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შემუშავებული და გამონახული იქნება ის საშვალებანი, რომელიც ხელს შეუწყობს რეფორმის მალე დამთავრებას... განი

## პროფ. კავშ. კრებაში

ი. გიგიეჭკორის მოხსენება.

18 იანვარს ამხ. ხელიძის თავმჯდომარეობით შესდგა პროფესიონალურ საბჭოთა, პროფ. კავშირებისა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მრავალრიცხოვანი კრება. განხილულ იქნა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთეს ე. პ. გეგეჭკორმა და გ. აიოლომ. ევგ. გეგეჭკორის მოხსენებამ დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, კავშირების გამგეობათა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არაჩვეულებრივ შეერთებულმა სხდომამ, რომელიც შესდგა 18 იანვარს, გაარჩია რა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა უმაღლეს საბჭოს მიერ, მიესალმება ქართველ მუშათა კლასის დიდებულ გამარჯვებას, რომელიც მიღწეულია საერთაშორისო დემოკრატიის შეერთებული ძალით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დემოკრატიის შეერთება—ეს საუკეთესო თავმდებია გამარჯვებისა—სოციალიზმის საკეთილდღეოდ, რომელიც იგულისხმება, როგორც მთელი ქვეყნის მშრომელთა საერთო გამარჯვება. ამასთან ერთად ჩვენ გვწამს, რომ მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ ამ გამარჯვებამდე, მომავალშიაც საკეთილდღეო იქნება მუშათა კლასისათვის“.

ამის შემდეგ გაგზავნილ იქნა მისალოცი დეპეშები.

**დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს:** თქვენის სახით კრება მიესალმება უმაღლეს კანონმდებლობითი ორგანოს—დამფუძნებელ კრებას, რომელიც დარაჯად უდგას ხალხის ინტერესებს. ტფილისის მუშათა კლასი აფასებს ხალხის არჩეულთა ნაყოფიერ მუშაობას და აღუთქვამს მათ თავის დახმარებას რესპუბლიკის ნებისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

**მთავრობის თავმჯდომარეს:** თქვენის სახით მიესალმება მთავრობას, რომლის პოლიტიკამ ქართველი ხალხი და მუშათა კლასი ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა. გვრწამს, რომ ეს ბრძნული პოლიტიკა მომავალშიაც გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქნება იმ ხალხისათვის, რომელიც აღორძინებას იწყებს. ტფილისის მუშათა კლასი მომავალშიაც ყოველივე დახმარებას გაუწევს თავის მთავრობას.

**სახალხო გვარდიას:** შეერთებული კრება მიესალმება სახალხო გვარდიას—პირველ მებრძოლთ ქართველი ხალხის უფლებისათვის ბრძოლაში, რომ მოაწყოს თავისი ცხოვრება სურვილის თანახმად. და დღეს, როდესაც ქართველმა ხალხმა თავისი სურვილი ცხოვრებაში გაატარა, ჩვენ, მუშები, თქვენთან ერთ, ძვირფასო ამხანაგებო.

თქვენთან ცხოვრება, თქვენთან შრომა, თქვენთან სიკვდილი!..

**სამხედრო მინისტრს:** თქვენი სახით კრება მიესალმება სახალხო ჯარს, რომელიც დარაჯად უდგას რესპუბლიკისა და დემოკრატიის ინტერესებს. ტფილისის მუშათა კლასი თქვენთან ერთად დღესასწაულობს ამ გამარჯვებას და სწამს, რომ ის უკანასკნელი არ იქნება ჩვენი უფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

## წერილები ბათუმიდან

II

მუშათა კონფერენცია.

13 იანვარს შესდგა კრება ყველა პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებისა და ქარხნების კომიტეტებისა. გასარჩევი იყო ერთი კითხვა: „12 იანვრის ამბები და ჩვენი დამოკიდებულება“.

ადგილობრივი შეკავშირებული მუშები შეიკრიბნენ, რომ თავიანთი მსჯავრი დაედოთ მომხდარი ამბებისათვის. თავიდანვე აშკარა იყო, თუ როგორი იქნებოდა ეს მსჯავრი. ყველა აღელვებულია, ყველა აღშფოთებულია, რომ შექმნილ პირობებში მუშებს არა აქვთ საშუალება ორგანიზაციულათ ჩაერიონ საქმეში და მოიპოვონ ასეთი ხელშეკრული გამოსვლების შესაძლებლობა. სამხედრო წესების გამო მათ არ შეუძლიათ შეკრება საშუალება არა აქვთ შეუჩნებლათ გაიგებინონ მთელი შესაბამისი ასეთი გზით თავიანთი უკმაყოფილების გამოთქმისა. და აი, ბნელი ძალებიც სარგებლობენ თავიანთი ბნელი საქმეების მოსამზადებლათ.

კრებას მოხსენებით მიმართავს პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი პეცოვი და მოკლეთ არკვევს თორმეტ იანვრის ამბების მიზეზებს.

# დღეს

ფრანგული პრესის ცნობით უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა საქართველოს რესპუბლიკის დელეგატებს — ჩხეიძეს, წერეთელს და ავალიშვილს და ადერბეიჯანის რესპუბლიკისას — თოპჩიბაშევს.

ბალტიის მხრის სახელმწიფოთა კონფერენცია გაიხსნა ჰელსინგფორსში. კონფერენციამ აირჩია კომისიები ნაციონალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხთა გასარკვევად.

რუსეთის შესახებ გამართული თათბირი, რომელშიაც მონაწილეობენ კლემანსო, მილიერანი, ლოიდ-ჯორჯი და ნიტი, გრძელდება.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ერთ ერთი წითელი არმია გადაკეთებული იქნება შრომის არმიად.

საჭიროა ჩვენ დავგმოთ მომხდარი ამბები და მუშებს კონფერენციის სახელით მოწოდებით მივმართოთ. შეგნებული მუშა ვერასოდეს გაამართლებს ასეთს ხულიგნურ გამოსვლებს, ამით მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. საჭიროა კონფერენციამ გამონახოს საშუალებები მომავალში ასეთი მოვლენების თავიდან ასაცილებლად. უნდა ავუხსნათ თავიდან მოსალოდნელი ტალღები ლტოლვილებისა. ბურჟუაზიულ ლტოლვილებს ჩვენ ვერ მივიღებთ. საჭიროა სავალიუტო კითხვის დაუყოვნებლივ მოგვარებაც.

მუშა სტეფანოვის აზრით არ შეიძლება მომხდარი ამბების ხულიგნური გამოსვლებით მონათვლა. ეს იყო მშიერი ხალხის „ბუნტი". ასეთი გამოსვლები აუცილებლად უნდა იქნეს დაგმობილი. უნდა მოვითხოვოთ სასურსათო საბჭოს დემოკრატიზაცია. ერთი კაცის დიქტატურა ამ საქმეში დაუშვებელია. დემოკრატიულად მოწყობილ საბჭოს უნდა მიეცეს ფართო უფლებები რეკვიზიციამდე. ბათუმში ბევრია ყველაფერი, მხოლოდ საჭიროა მათი აღმოჩენა და ჩამორთმევა. თუ უნდათ, რომ შეგნებულმა მუშებმა მონაწილეობა მიიღონ ყველაფერში და 12 იანვრის ამბების განმეორება შეუძლებელი გახადონ, უფლებებიც უნდა მოგვცენ. საჭიროა სალყუ წესების მოხსნა, რომ თავისუფლად შეიკრიბონ მუშები.

ამხ. წულაძეს საჭიროთ მიაჩნია უფრო რეალური ზომების მიღება. პრეზიდიუმი ასეთ ზომებზე არ გვითითებს. სტერლინგების მოთხოვნა არ ნიშნავს სავალიუტო კითხვის გადაწყვეტას, რადგან ინდოეთშიაც კი არ იძლევიან სტერლინგებს. იქ არის ბანკ ნოტები და ჩეკები, რის განაღდებაც მეტად ძნელია. აქაც ასევე იქნება. ჩვენ პოლიტიკურ კითხვას არ ვარჩევთ. მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ საქართველო თან დამოკიდებულებას შესცვლიდეს უკეთესზე, მაგ., სადამოსვლო თუ სხვა, მაშინ სასურსათო კრიზისის ცოტათი განელება შეიძლებოდა. მაინც უკანასკნელ ხანს ხომ საქართველოდან შემოსული სურსათით ვიკვებებით, რაც კონტრაბანდით შემოდის. აუცილებლათ საჭიროა ბონებით ხელფასისა და ჯამაგირების მიცემის მოთხოვნა. აქ ამბობენ, ბონებზედაც ასეთი მდგომარეობა შეიქნება, როგორც დონის ფულებისა. ეს არ არის მართალი. რუსეთიდან არაფერი შემოდიოდა. საქართველოს კი აქვს სავაჭრო დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებთან, საქონლის გაცვლა გამოცვლა და ამიტომაც შეუძლებელია ბათომში ბევრი ბონების დაგროვება. ჩვენ ვერ შევსძლებთ სასურსათო კრიზისის და სიძვირის სრულიათ მოსპობას, რადგან ეს მსოფლიო მოვლენაა. მაგრამ საქართველოსთან უფრო მჭიდრო კავშირი მას საგრძნობლად შეანელებდა.

ვ. ჭელიძეს საჭიროთ მიაჩნია დიდი ყურადღება მიექცეს ლტოლვილების სისტემატიურათ შემოსვლებას. უწინ ბათუმის მცხოვრებთა რიცხვი 30 ათას ძლივს აღწევდა, დღეს კი 90 ათასზე მეტია. სადაა გარანტია, რომ ის კიდევ არ იმატებს. ლტოლვილები ჩრდილოეთიდან ყოველდღე გვემატება.

თავმჯდომარე ცნობისათვის აცხადებს, რომ 12 იანვარს, როცა მას სამსახურის გამო მოუხდა სამხედრო გუბერნატორთან მისვლა, უკანასკნელმა უთხრა: სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ დარბევის მომხდენ ბრბოში არც ერთი მუშათაგანი არ ერია. იყვნენ სომეხი ლტოლვილები და სხ.

ილიპარიძეს კიდევ სხვებმაც. ყველას საჭიროთ მიაჩნიათ 12 იანვრის ამბების დაგმობა და კონფერენციის სახელით მუშებისადმი მოწოდების გამოშვება.

ბოლოს მომხსენებელი უპასუხებს ზოგიერთებს და ამბობს, რომ რეკვიზიცია მისაღები და სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სარეკვიზიციო საგნებს იმავე ქვეყანაში აწარმოებენ. ჩვენ ყველაფერს გარედან ვღებულობთ. თუ რეკვიზიციის გზას დავადგებით, ერთს მშვენიერ დღეს სულ ხელცარიელები დავრჩებით.

სასურსათო კომიტეტის დემოკრატიზაცია აუცილებელია. ამ კომიტეტმა უგარანტიოთ გაუშვა ბათუმიდან ბევრი ძვირფასი საქონელი, რამაც სასურსათო კრიზისი გააძლიერა.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა მოხსენება და კამათი 12 იანვრის ამბების შესახებ და იღებს რა მხედველობაში, რომ 1) დონის ფულებს დღეს ვალუტის ღირებულება აქვს; 2) რომ დემოკრატიული ორგანიზაციების უქონლობა მდგომარეობას აუარესებს; 3) რომ ქალაქში საშინელ სპეკულიაციას აქვს ადგილი და 4) რომ ქალაქში არსებული სალყუ წესები თვითმოქმედებას გვიბოჭავს, — მუშათა კონფერენცია ადგენს: 1) გაუქმებულ იქნას დონის ფულები და ჯამაგირები და ხელფასი იძლეოდეს ბონებით ან არსებულ მტკიცე ვალუტით; 2) მოვითხოვოთ სასურსათო კომიტეტის დემოკრატიზაცია; 3) კატეგორიულათ მოვითხოვოთ სალყუ წესების მოხსნა; 4) იქნას მიღებული ზომები ქალაქის ზედმეტი ხალხისაგან დასაცლელათ. თანაც გმობს სასტიკათ 12 იანვრის გამოსვლებს და მოწოდებით მიმართავს მუშებს".

პრეზიდიუმს დაემატა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია რეზოლუციის საფუძველზე მოწოდების გამოსაცემათ.

მიღებული რეზოლუცია წარედგინა გუბერნატორს. 16 იანვარს რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოვიდა კონფერენციის მოწოდება მუშებისადმი.

ჯმუხა.

---

**ბათუმის პროფესიონალურ კავშირების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციისაგან.**

ამხანაგებო მუშებო და მოქალაქენო!

12 იანვარს მომხდარი ამბები, რომელიც იყო ჩადენილი გზა აბნეულ, გამვლელ-ტყვებული მასის მიერ, ხულიგანთა და იოლი საშოვარის მოტრფიალეთა ხელმძღვანელობით და რომლებსაც შემდეგ მოყვა საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა დარბევა, სასტიკად დაგმობილ იქნა, როგორც საზიზღარი მოვლენა, ბათუმის უკეთ შეგნებული და შეკავშირებული მუშების სურვილისა და სულისკვეთების გამომხატველის კონფერენციის მიერ.

მართალია, თანამედროვე ცხოვრების პირობები მძიმეა, სურსათის საკითხი მეტის მეტად არეულ-დარეულია და მდგომარეობა აუტანელი, სპეკულიანტ-მარაუდერები თავაშვებულია და ფართო დემოკრატია მოკლებულია ყოველივე საშუალებას ორგანიზაციულად მოაწყოს რაიმე ზეგავლენის მოხდენა ბნელ ელემენტებზე, მაგრამ კონფერენცია მოვალეობად სთვლის მოაგონოს ყველას, რომ დარბევით და ხულიგანური გამოსვლებით არამც თუ არ გამჯობესდება ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მუშებისა, არამედ, პირიქით, ამით ეცლება რა საფუძველი შეკავშირებულ მუშების ავტორიტეტს და ირღვევა რა მათი წრეები, დამღუპველი შედეგები მოაქვს მათი ეკონომიური მდგომარეობისათვის. არა თქვენის ხელებით, მძიმე შრომით და ნახევრათ მშიერი არსებობით შექმნილი სიმდიდრის განადგურებით, არამედ — საწარმოო ორგანიზაციისა და აპარატის და სიმდიდრის განაწილების გაუმჯობესებით შეიძლება ცხოვრების მოწყობა: მისი მთლიან ყველასაგან შეძლების დაგვარად, ყველას მისი მოთხოვნილების მიხედვით.

ამხანაგებო, განსაცდელი ჯერ არ დასრულებულა! შესაძლებელია ბნელი ძალები შეეცადონ თქვენი შეკავშირებული წრეების დასარღვევათ პროვოკაციის ანკესზე წამოაგონ შეუგნებელი მასსა საზოგადოების ნაძირალებმა.

კონფერენცია სთვლის რა თავის მოვალეობად აღნიშნოს ის სასიხარულო ფაქტი, რომ 12 იანვარს, როგორც ყოველთვის, ბათუმის მუშები თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ დარბევაში, მოგიწოდებს თქვენ მომავალშიაც იბრძოლოთ ყოველი შესაძლებელი და ხელმისაწვდომი საშუალებებით ყოველგვარი ხულიგნური გამოსვლების წინააღმდეგ. შეგნებული პროლეტარიატი საჭირო მოიებში გამოსძებნის ორგანიზაციულათ მოწყობილი ბრძოლის საშუალებას ყოველგვარი უსამართლობის და ცხოვრებული გარდამავალ დროში გაჩენილ არევდარევის წინააღმდეგ.

ბათუმის მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კონფერენციის მიერ გამოიმუშავებულია მთელი რიგი ზომებისა, რომელთა განხორციელებას და ცხოვრებაში გატარებას პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ახლო მომავალში შეეცდება.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 იანვარი.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. იან. 20. სამხედრო ცნობები. ნარვის რაიონში ჩვენსკენ გადმოვიდა მტრის 175 ჯარისკაცი. რიგის რაიონში სასტიკი ომი კვლავ გრძელდება. მოზირის რაიონში ომი ცვალებადი ხასიათისა არის. მოგილიოვ-პოდოლის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეუერთდა წითელ პარტიზანულ რაზმს, რომელმაც აიღო ქ. მოგილევ-პოდოლსკი. ელისავეტოგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მდ. დნეპრის პირად აიღო დაბა ბერისლავი და კახოვკა ხერსონიდან 60 ვერ. მანძილზე. პერეკოპის მიმ. ჩვენი წინსვლა ვითარდება. ნოვო-ჩერკასკის რაიონში, დონის მარცხენა ნაპირზე რაზდოროვსკის სამხრეთით ბრძოლა სწა მოებს სოფელი კარპოვკაისათვის. ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი ავიწროვებს მტრის რაზმებს, სტანიცა სკორორდოლსკაიას სამხრეთით. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. სალი და წინსვლას განაგრძობს. ტირასპოლის რაიონში წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს. სემიპალატინის რაიონში ბრძოლით ვუახლოვდებით ქ. სერგიოპოლს.

პეტროგრადი. იან. 17. ტრიცკის სასახლეში შესდგა პეტროგრადის საბჭოს კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ზინოვიევი. ლუნ ჩარსკიმ გააცნო კრებას ეგეთა თავისი მომავალი მოღვაწეობისა. 3 რვეულ ყოველისა მომხსენებელის აზრით საჭიროა ბრძოლა ხალხის სიბნელესთან. ორი წლის შემდეგ არ უნდა დარჩეს საბჭოთა რუსეთში არც ერთი წერა-კითხვის არ მცოდნე მოქალაქე ამ მიზნის მისაღწევათ უნდა გაიხსნას 30,000 ახალი სკოლა და მრავალი სახალხო სამკითხველოები. შემდეგ სამეურნეო საკითხთა შესახებ მოხსენებას კითხულობს კოტლიაკოვი. მისი სიტყვით სათბობი მასალის კრიზისი მცირედ შენელდა. თუმცა ხუთი ჩრდილო გუბერნიისათვის საჭიროა 2,000,000 საჟენი შეშა, რომელთაგან დამზადებულია 400.000, ხოლო გამოტანილი მხოლოდ 80,000. შეშის დაზიდვას ხელს უშლის სურსათის უქონლობა, ფრონტის სიახლოვე და სხვა მიზეზები. ზინოვიევი მოახსენებს კრებას, რომ გადაწყვეტილია ერთ ერთი წითელი არმია გადაკეთებულ იქნას მშრომელ არმიად. ლონდონი, იან. 18 ბალტიის მხრის სახელმწიფოთა კონფერენცია, მოწვეული ფინლიანდიის მთავრობის მიერ, პარასკევს გაიხსნა ქ. ჰელსინგფორსში. პირველ სხდომაზე, რომელიც მოხდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დარბაზში, დაესწრნენ მხოლოდ სამხედრო წარმომადგენლები პოლონეთისა, ფინლიანდიისა, ლატვიისა, ესტონიისა და ლიტვისა.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ფინლიანდიის პრემიერ მინისტრი. კონფერენციამ აირჩია კომისიები ნაციონალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხთა გასარკვევათ. ნაციონალურ საკითხთა კომისიას ევალება საზღვრების საქმეთა მოწესრიგება.

**ფრანგული პრესის ცნობები**

გერმანიის ორ გემს, რომელიც გერმანელ ტყვეებს სამშობლოში წასაყვანად არის გამოგზავნილი, გავრისა და რუანის ნავთსადგურებში 21 იანვრისათვისელიან. ყოველგვარი ზომაა მიღებული 1500 ტყვეს დაუყონებლივ შინ გასაგზავნათ. კიდევ ორი გემი უნდა მოვიდეს სენ ნაზერში, რათა წაიყვანოს 560 ოფიცერი და 700 ჯარისკაცი. გერმანიის მატარებელთა ნაწილი, რომლითაც ტყვეები უნდა გადაიყვანონ ლომბურგ, განგეიმისა და ეინენბურგის მიმართულებით რეინის რკინის გზებზე უნდა მიიყვანონ. ტყვეების გადაგზავნა 22 იანვარს დაიწყება. დიუსელდორფის ხაზზე ტყვეებს გადაყვანა უნდა დაეწყო ოცდამეერთე სამზადისში.

დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის არჩევის საკითხი მაშინ იქნება წამოყენებული, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის უფლებებს მოიხსნის ე. ი 18 თებერვალს პრეზიდენტების მიხედვით პოლ. დეშანელს არ სურს ამ დრომდის დასტოვოს თავისი ადგილი. ამ მომენტის შემდეგ კი ბურბონის სასახლეში სხდომები თავმჯდომარის ამხანაგების ხელმძღვანელობით გაიმართება. რაც შეეხება პალატის თავმჯდომარის ადგილს, — გაზეთები ასახელებენ: ლუი ბარტუს, რაულ პერეს, ფრანსუა არაგოს და ჟორჟ ლეგს.

ორშაბათს კლემანსომ მიიღო შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ადორი, რომელიც დილით პარიზში ჩამოვიდა, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვაიდა ვოევოდა და მარშალი პეტენი.

კლემანსო, მილიერანი, ლოიდ ჯორჯი და ნიტი მსჯელობდნენ სხვადასხვა აუცილებლად გადასაჭრელ საკითხებზე, მათ შორის რუსეთის საკითხზე. სამშაბათ დილით კიდევ არ ყოფილა მიღებული პასუხი სამხრეთ-სლავიისა ადრიატიკის შესახებ. საღამოს საბჭო დ'ორსეის წყლის პირის ქუჩაზე კვლავ შეიკრიბება. თუ მანამდის სამხრეთ სლავიის პასუხი მოვიდა, საბჭო მას განიხილავს. საბჭომ სხვათა შორის უნდა მოაწესრიგოს საზავო კონფერენციის მთავარი სამდივნოს მომავალი მოქმედება. სამშაბათს ნიტის წასვლის შესახებ საკითხი არ აძრულა.

ორშაბათ ღამით სამხრეთ-სლავიის დელეგაციამ მიიღო შიფრიანი დეპეშა, რომელშიც არის პასუხი ადრიატიკის საკითხის შესახებ. ცუდი ამინდის გამო დეპეშამ დაიგვიანა. ამ პასუხს სამხრეთ-სლავიის დელეგატები გადასცემენ უმაღლეს საბჭოს.

ბერლინში დანიშნულმა საფრანგეთის საქმეების ვექილმა დე-მარსილიმ მთავრობას დეპეშით აცნობა, რომ იგი თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

უმაღლეს საბჭოს სხდომა ორშაბათს ხდებოდა კლემანსოს თავმჯდომარეობით. კლემანსო დარჩება უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ მანამდის, სანამ მთავრობა მის მაგიერ ახალ დელეგატს არ დანიშნავს.

გრაფ-აპონიი პარიზიდან ბუდაპეშტს გაემგზავრა.

ორშაბათს უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, რომელიც კლემანსოს თავმჯდომარეობით მოხდა, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლოიდ ჯორჯმა, ნიტიმ, მარშალმა ფოშმა, ინგლისის ჯარის მთავარი შტაბის უფროსმა მარშალმა სერ გენრი ვილსონმა, სამირბაროს პირველმა ლორდმა ამირბარ ბიტიმ და ინგლისის სამხედრო მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა. მთავრობის თავმჯდომარეთა და მათ თანამშრომელთა ყურადღება მიიპყრო რუსეთის საქმეებმა. მარშლებისა და ამირბარების სხდომაზე დასწრება საკმაო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ საკითხი სამხედრო თვალსაზრისით არჩევდენ. საბჭომ მოუსმინა საქართველოს რესპუბლიკის დელეგატებს ჩხეიძეს, წერეთელსა და ავალოვს და ადერბეიჯანის — მარდან-ბეგ ტოპჩიბაშევს. კავკასიის ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენლები დიდხანს უმარტავდენ უმაღლეს საბჭოს თავისი ქვეყნის საჭიროებებსა და სურვილებს. მათ განაცხადეს, რომ მთიელები რაინდი ხალხია, მათ თავის დროზე ყოფილ რუსეთის ჯარში საუკეთესო ნაწილები შექმნეს.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: სამხედრო სასამართლომ გაასამართლა ბესადინ შაქირი და ექემი რაზიმი, რომელნიც ხელმძღვანელობდენ „ერთობა და პროგრესის" კომიტეტს და რომელნიც უმთავრესი დამნაშავენი არიან ომის დროს მომხდარ ჟლეტაში. დღეს ისინი გერმანიაში იფარავენ თავს. შაქირს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და რაზიმს კი 15 წლის კატორღა.

შვეიცარიის ყოფილ პრეზიდენტს გუსტავ ადორს სურს უმაღლეს საბჭოს მოელაპარაკოს შვეიცარიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

სამშაბათ დილით მილიერანი ახალ კაბინეტს წარუდგენს პუანკარეს. დეშანელის დეკლარაცია ახალი კაბინეტის სახელით ხუთშაბათს წაკითხული იქნება ორივე პალატაში.

კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ნიტიმ სამშაბათ დილის სხდომაზე მოისმინეს რუმინეთის პრემიერის ვაიდა ვოევოდას მოხსენება რუმინეთის მდგომარეობის შესახებ. საკითხის გარჩევას დაესწრო აგრეთვე მილიერანიც.

# ახალი ამბები

პარასკევს, 23 იანვარს, საღამოს 5 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია შეერთებული საზოგადო სხდომა პირველ და მეორე რაიონებისა. ამხ. ევგენი გეგეჭკორი გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე. მოხსენება წაკითხული იქნება ქართულ ენაზე.

✦ **სამხედრო წესის მოხსნა** 18 იანვრიდან რესპუბლიკის რკინის გზებზე სამხედრო წესები მოიხსნა.

✦ **თათბირი.** გუშინ დილის 12 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიხსნა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ე. პ. გეგეჭკორმა, ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხანხოისკიმ და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ხატისოვმა. თათბირზე განხილულ იქნა თანამედროვე პოლიტიკური მომენტი.

✦ **როსტოვიდან** 6 გამოქცეული გრ. ჩილაშვილი ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა.

✦ **გაზეთის დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით 20 იანვარს დახურულ იქნა გაზეთი „გოლოს რაბოჩეგო", იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთის № 2-ში სათაურით: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო", სადაც ამკარად უარყოფითი აზრი იყო გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

✦ **დავით კლდიაშვილის იუბილე.** დ. კლდიაშვილის საიუბილეო კომისიამ წარსულ ოთხშაბათს სხდომაზე გადასწყვიტა დ. კლდიაშვილის იუბილე გადაიდოს 15 თებერვლისთვის. იმავე სხდომაზე მოწვეულ იყვნენ მწერალ-კრიტიკოსები, რომელთაც დაევალათ ამ დღისთვის მოხსენების და წერილების დამზადება იუბილიარის შესახებ. დავით კლდიაშვილის საიუბილეო დღისთვის გამოვა საგანგებო წიგნაკი, სადაც მოთავსებული იქნება წერილები იუბილიარის შესახებ და მისი ავტობიოგრაფია. იუბილე გაიმართება სახელმწიფო თეატრში.

✦ **ყრილობა** 20 იანვარს მიწათ-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა რესპუბლიკის საერობო გამგეობათა სადაგულ-მამულო განყოფილებათა გამგეების ყრილობა. ყრილობის მიზანია: აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარების დაჩქარება.

✦ **გაიხსნა** საქალაქთაშორისო ტელეფონის მოქმედება ახალქალაქსა და თფილისს შორის ლაპარაკისათვის შემდეგი ფასი გადიხდით: ჩვეულებრივი ლაპარაკი 2 მან. სწრაფი 6 მან. თითო წუთში და დავალების შესრულებისათვის 2 მანეთი ორივე შემთხვევაში.

✦ **ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში** მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები იანვრის უკანასკნელ რიცხვებში (30 იანვ.) მიემგზავრებიან უკანვე აღმოსავლეთ ქვეყნებში. ვისაც სურთ წერილი მიაწოდონ იქ მცხოვრებ (ციმბირში, მანჯურიაში, ჩინეთში და იაპონიაში) ნათესავებ ნაცნობებს, ან სხვა რაიმე დავალება აქვთ ამ ქვეყნებში, — შეუძლიან მიმართონ ან წერილი გადასცენ დელეგატს დავით ივ. როსტომაშვილს, თუმანოვის შესახვევი, № 24, პირადათ 3—6 ს. შუადღის შემდეგ და ერმილე ხავთასს (რუსთაველის ქუჩა № 1.

✦ **მილიციის შენახვის ხარჯები.** ქალაქის კვ. შ. რის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელმა თავის თავზე მიიღოს მილიციის ხარჯების 75 პროცენტი. მილიციის შტატები და ხარჯთ აღრიცხვა წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ **ხურხათზედ მომუშავეთა** პროფესიონალური კავშირი აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ კვირას 25 იანვარს დილით 10 ს. (მადათოვის ქ. 11) დანიშნულია საზოგადო კრება. გასარჩევია შემდეგი საკითხები: მოხსენება კავშირების გაერთიანებისა, 1) შესახებ ერთ მთლიან ცენტრალურ კავშირში. 2) მოხსენებები სექციის გამგეობიდან და სარევიზიო—კომისიიდან. 3) ცენტრალურ გამგეობის ამორჩევები 4) ცენტრალურ სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. 5) გაერთიანება სექციების კასებისა საერთო ცენტრალურ კავშირის კასაში.

✦ **სახელმწიფო თეატრში** დღეს მანდინოვას, სარაჯიშვილის, ინაშვილის და სხვათა მონაწილეობით „აბესალომ და ეთერი".

✦ **აგრონომიული ყრილობა.** 23 იანვარს სღ. 6 საათზე—მიწათ მოქმედების სამინისტროში შესდგება აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. მოისმენილ იქნება პრეზიდიუმის მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ.

✦ **თფილისის კომიტეტი** ერთხელ კიდევ მოაგონებს რაიონულ კოლექტივებს აიძულონ თავიანთი მდივნები, რომ მათ სამი დღის განმავლობაში აუცილებლათ წარმოადგინონ თავიანთი რაიონების წლიური ანგარიში, როგორც პარტიულ მუშაობის მდგომარეობის, ისე თანხის ტრიალისა. ასეთები უნდა წარმოედგინათ ჯერ კიდევ პირველ იანვარს.

✦ **ამ. მარქ. ორგ.** მეოთხე რაიონის კოლექტივი აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 20 ამ თვეს გავიდა ვადა საწევრო ფულის შემოტანისა. ვინც 25 იანვრამდე არ შემოიტანს ფულს, გამორიცხული იქნება ორგანიზაციიდან.

✦ **საქ. ს. დ. მ. პ.** ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სენაკის სამაზრო ს.-დ. კომიტეტისაგან პროცენტები გადასახადი ორი ათასი მანეთი (2000 მ.) ამხ. კანწურეიშვილის ხელით.

**განცხადებები.**

დღეს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 ს., შესდგება ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე 7-დე რაიონულ კოლექტივისა. ხსენებულ რაიონში არსებულ ს. დ. ფრაქციებს სთხოვენ გამოგზავნონ წარმომადგენლები საჭირო კითხვების გასარჩევად.

— დღეს, საღ. 6 ს: დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პარ. მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

ხუთშაბათს 22 იანვარს, საღამოს 5 ს. ქალაქის გამგეობის აღმასრულებელ კომიტეტის კანცელარიაში დანიშნულია შეერთებული სხდომა ტრამ. მუშა-მოსამს. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეების და თფ. მაზრის ერობის მოსამსახურეთა კავშირების. დღის წესრიგში შრომის ხელშეკრულების საკითხი.

**პროვინციის ქრონიკა**

ახალ-სენაკში 8 იანვარს, შესდგა ქართველ სტუდენტთა და დაინტერესებულ პირთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა მოაწყოს 26 იანვარს „სტუდენტთა დღე". არჩეულ იქნა კომისია შემდეგი პირებისაგან: ქ-ნი გ. გამსახურდია, ვ. ცომაია, ნ. ბელქანია და ბ-ნი ვ. დუმბაძე, პ. ქავთარაძე, გ. ჯაკობია და ვ. ლაბახუა, კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. ქ. ზუგდიდში, დაბა ხეთაში და ძველ სენაკში აგრეთვე სწარმოებს მუშაობა.

ბორჯომის შტაბის წევრი გიორგი ჯაღალანია, რომელიც 16 იანვარს მძიმედ იქნა დაჭრილი, ამ ჟამად იმყოფება ბორჯომის საავადმყოფოში.

ზესტაფონი. 17 იანვარს ზესტაფონში მოვიდა შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი. მინისტრმა დაათვალიერა ერობის გამგეობის ბინა, გაეცნო საქმის წარმოებას, დაათვალიერა სამაზრო საპყრობილე, ზოგი ტუსაღი გაანთავისუფლა, ზოგს შეუმცირდა შეღავათს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო, მივიდა აგრეთვე სამილიციო სამმართველოში და ესაუბრა მილიციონერებს, დაათვალიერა ქალაქის ყველა სასწავლებლები, ქალაქის თვითმართველობა და ქალაქის მილიციის სამმართველო. 18 იან. მინისტრმა დაათვალიერა საქარის სანერგე და ზესტაფონიდან მე 12-ტე ვერსზე მდებარე ის ადგილი, სადაც განზრახულია მდინარე ჩოლაბურზე ხიდის გაკეთება. ამავე დღის ქ. ზესტაფონში მინისტრმა წაიკითხა საჯარო ლექცია საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე. ლექციას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

# მილოცვები დამოუკიდებლობის აღიარების გამო

ყაზბეგი. 18 იანვარს კავკავის ქართველობამ დიდის ამბით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ხანიშვილი.

---

თელავი. სოფელ წინანდლის სათემოში შეკრებილი მრავალ რიცხოვანი მიტინგი დამფუძნებელ კრების წევრის სოსო მაჭავარიანის და თელავის სამაზრო ერობის წარმომადგენლის თანადასწრებით გულწრფელათ ზეიმობს ისტორიულ დღეს საქართველოს დამოუკიდებლად აღიარებისას. უძღვნის სალამს დამფუძნებელ კრებას მთავრობას და ფიცსა სდებს, რომ მედგრათ დაიცავს ტურფა საქართველოს დამოუკიდებლობას და აღმოუჩენს დახმარებას დამფუძნებელ კრებას და მთავრობას დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებაში და დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

მიტინგის თავმჯდომარე ლევან ყიფიანი.

---

ხუჯუნა, 19 იანვარს ხუჯუნის საზოგადოების მიტინგზე მოსმენილ იქნა მოხსენება ზარნაძ ძველაიასი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, კრება სიხარულით მიეგება დამოუკიდებლობის აქტს. ფიცს სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა. ზემო აღნიშნულ აქტს აღფრთოვანებით ულოცავს ნდობით აღჭურვილ დამფუძნებელ კრებას და მის მიერ არჩეულ მთავრობას. კრების მონდობილობით კოდია მიმინოშვილი.

---

მესტია. ახალ ქალაქის სოფელ ყალოჯის მოქალაქენი შეკრებილნი სადღესასწაულოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო დიდ სახელმწიფოთაგან, გილოცავთ დიდებულ ისტორიულ აქტს და უსურვებს ჩვენს მთავრობას წინსვლას ყველა საქმეში.

კრების თავმჯდომარე კალატოზიშვილი.

---

ფოთი მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ამბავი ფოთის ქალაქის გამგეობამ მიიღო იანვრის 12 საღამოს 5 საათზე. მოქალაქეთ მაშინვე ეცნობა საგანგებო ფურცლებით სასიხარულო ამბავი, რამაც დიდი სიხარული და უსაზღვრო ენთუზიაზმი გამოიწვია ხალხის ყველა წრეებში. საღამოს 7 ს. დაიწყო დიდი მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის ყველა უბნების მცხოვრებლებმა ჯარმა და გვარდიამ მუსიკით ეროვნული დროშებით ცეკვა-თამაშით, სიმღერით. მანიფესტაცია შეჩერდა მუნიციპალიტეტის წინ, რომელიც გაჩირაღდნებული იყო. ქალაქის თავმა ამ. კორძაიამ წაიკითხა მთავრობის დეპეშა და მიულოცა ხალხს ქართველი დემოკრატიის გამარჯვება სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა პოლიტიკურ, საზოგადო და პროფესიონალურ ორგანიზა-

ციების წარმომადგენლებმა, რომელთაც ხალხი ეგებებოდა მხურვალე ტაშით და ვაშას ძახილით. ქალაქის თავის მოწოდებით მანიფესტაცია, რომელიც კიდევ უფრო გადიდდა რიცხვით, გაემართა ინგლისის და იტალიის კონსულის ბინისკენ. კონსულს მისალმების და სამადლობელი სიტყვით მიმართა მანიფესტაციის სახელით ქალაქის თავმა. მუსიკამ შეასრულა ტუში. კონსულმა პასუხის სიტყვითვე მიმართა მის სახლის წინ მდგომ მანიფესტაციას, მიესალმა მას და მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მოკავშირეთა მიერ და უსურვა საქართველოს ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუჩერებელი წინსვლა, სახელმწიფოებრივის გზით. კონსული ხალხმა ხელში აიყვანა და ვაშას ძახილით გაიტაცა ქუჩებში. შემდეგ მანიფესტაცია შეჩერდა საბერძნეთის კონსულის ბინის წინ. გამოსულ კონსულს სიტყვით მიმართა ქალაქის თავმა, რომელსაც ფრანგულად საპასუხო სიტყვით მიმართა საბერძნეთის წარმომადგენელმა. შემდეგ მანიფესტაცია დაიშალა. მანიფესტაციის დროს მთელი ქალაქი განათებული იყო მაშხალებით, ზარბაზნებმა გაისროლეს 11 ყუმბარა. ხალხი მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდა. წესრიგი არსად დარღვეულა. მეორე დილის 11 საათზე გაიმართა სობოროს მოედანზე დიდი მიტინგი, რომელიც გახსნა ქალაქის თავმა. სამღვდელოებამ გადაიხადა პარაკლისი. წარმოითქვა მრავალი სიტყვები. მიტინგის გახსნისას ზარბაზნებმა დაიგრიალეს, გაისროლეს 21 ყუმბარა, ტყვიისმფრქვეველებმაც ბანი მისცეს. მიტინგის შემდეგ გაიმართა ჯარების აღლუმი. მთელი ფოთის დემოკრატია აღტაცებული ზეიმით დღესასწაულობს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

შალვა ჩიჩია.

— —

**ზესტაფონი.** 12 იანვარს, შუაღამის 2 ს. მოვიდა ცნობა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. იმ წამსვე დეპეშა ქალაქის გამგეობის მიერ გამოკრულ იქნა ქუჩებში. შეწყდა მაღაზიებში ვაჭრობა, დროშებით მორთეს შენობები, ხალხი აღტაცებით ხვდება ერთმანეთს, ულოცავენ დღესასწაულს.

ორ საათიდან ქუჩებში განუწყვეტელი მსვლელობა იყო. გამოჩნდნენ დროშებით მომავალი გვარდიელთა ჯგუფები. შტაბში კი სხდომაა თვითმართველობათა წარმომადგენლებისა, რათა შეიმუშაონ წესრიგი საზეიმო მიტინგის გამართვისა. ხალხი მოუთმენლად მოელის მიტინგის გახსნას.

სრულდება 4 საათი და მიტინგს ხსნის შორაპნის მაზრის ერობის თავმჯდომარე კ. ბუაჩიძე. იგი ხალხს უკითხავს თფილისიდან მიღებულ დეპეშას. ხალხი განუწყვეტელი ტაშით და ვაშას ძახილით ეგებება დამოუკიდებლობის აღიარებას. შემდეგ ქალაქის თვითმართველობის სახელით კრებას ესალმება და ულოცავს ამ დღესასწაულს ნ. ხხეიძე. ილაპარაკეს ყველა პარტიებისა და კომიტეტების წარმომადგენლებმა. შემდეგ მიტინგი მისალმების დეპეშას უგზავნის მთავრობას, ამერიკის რწმუნებულს, რომელიც ამ ჟამად დროებით ზესტაფონში იმყოფებოდა და სხვა.

ზ. ფუთიშვილი.

## ბავშვის სახლი

მოქალაქენო! თქვენ იცით, რომ თფილისში დაარსდა „დედობისა და ბავშობის დაცვის საზოგადოება“. თქვენ იცით, რომ ამ საზოგადოებამ უკვე განახორციელა პრაქტიკულად ზოგი თავისი მიზანთაგანი საბავშვო თავშესაფარების და უფასო კონსულტაციების მოწყობით, ეს საზოგადოება იწყებს კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საქმეს. იანვრის შუა რიცხვებში ხსნის „ბავშვის სახლს“, რომელიც შეიცავს საბავშვო ბაღს, საბავშო კლუბს და საბავშვო წიგნსაცავ სამკითხველოს. მოქალაქენო, კულტურული ევროპა მოფენილია ასეთი დაწესებულებებით, ხოლო ჩვენში ეს პირველი ცდაა და ჩვენი საზოგადოების შეგნება-განვითარებაზედ იქნება დამოკიდებული მისი ზრდა-წარმატება. „საბავშვო სახლთან“ განზრახული ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის საჭიროა საყმაწვილო წიგნები, სურათები, სახელმძღვანელოები. მოქალაქენო, ვისაც საჭიროთ მიაჩნია, რომ ჩვენს შვილებს მიეცეს გონებრივი და ზნეობრივი საზრდო, ვისაც საჭიროთ მიაჩნია, რომ ჩვენი შვილები ქუჩის ცუდ გავლენას აშორონ და მისცეს ბავშვს სალი გონებრივი საზრდო, შემოიტანეთ თქვენი წვლილი, გახდით მონაწილე ამ დიდ საქმისა. ყოველი შეწირულება წიგნებით, სურათებით თუ სახელმძღვანელოებით მიიღება დიდის მადლობით საზოგადოების კანცელარიაში პეტრე დიდის ქუჩაზედ № 8.

პედაგოგიური სექციის წევრები: ნ. ნაკაშიძე, ელ. ელიავა, ან. ქიქოძე, ბ. დ. არღუთინსკაია დოლგორუკა ვ. გორინა, მელ. გველესიანისა.

## დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა

### III

თავისი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ პოლიტიკურათ გაბატონებული სოციალისტური დემოკრატია იძულებული ხდება თავისი ინტერესების დამცველი დემოკრატიული ეკონომიური პოლიტიკა აწარმოვოს; ეკონომიური საფუძვლის გასამაგრებლათ და მით თავისი პოლიტიკური ბატონობის გასამტკიცებლათ მან უნდა გამონახოს და სისტემატიურათ განახორციელოს ისეთი ეკონომიური ღონისძიებანი, ისეთი ზომები და საშუალებანი, რომელნიც მის მიზანს შეეფერებიან.

მაგრამ ასეთი ეკონომიური პოლიტიკა რომ სწორი და მიზანშეწონილი აღმოჩნდეს, საჭიროა მისი შეთანხმება თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ობიექტიურ პირობებთან, მათ საერთო ტენდენციასთან და მოთხოვნილებებთან. არსებობისათვის მკაცრი ბრძოლა, ეკონომიური ცხოვრების ლოღიკა და მისი ულმობელი კანონები დემოკრატიას ავალებენ საჭირო სახალხო სიმდიდრის გამრავლებას და ამ მიზნით საწარმოვო ძალების ამოძრავებას, მათ გაუმჯობესებას.

ამ მეტათ მძიმე და რთული საქმიანობის გაწევა და თავისი ისტორიული მისსიის შესრულება კი დემოკრატიას ავალებს ყველა მწვავეთ წამოყენებულ ეკონომიურ საკითხებში სისწორით გარკვევას; არსებული მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა, მისი საჭიროების შეგნება და სრული გათვითცნობიერება, —ამ მომენტის მთავარი მოთხოვნილებაა.

სოციალისტური დემოკრატია მოწოდებულია, რომ მან თავისი შეგნებით და ორგანიზაციით სძლიოს მოწინააღმდეგე ბურჟუაზიას და ამ გზით თავი დააღწიოს იმ ეკონომიურ ქაოსს და ანარქიას, რომელიც მას წილკაკას უქადის. ნაყოფიერათ და მიზანშეწონილათ მხოლოთ იმ შემთხვევაში შეუძლია მას ბრძოლა აწარმოვოს, როდესაც ის მდგომარეობას სისწორით შეიგნებს, შეითვისებს და საჭიროებისამებრ სისწორითვე იმოქმედებს მწყობრათ, ორგანიზაციულათ. როგორც რევოლუციის ტალღებში ის ერთ სწორით ძლიერს ხაზს ატარებდა, როგორც პოლიტიკაში ის დემოკრატიულ გზას ადგევდა,—ისე ეკონომიურ ასპარეზზედაც მან პოლიტიკურ ხაზთან შეთანხმებული დემოკრატიული ეკონომიური პოლიტიკაც უნდა აწარმოვოს.

შექმნილი ეკონომიური ანარქიის და ქაოსის მოწესრიგება შეგნებასთან ერთად დემოკრატიისაგან მოითხოვს მრავალ ორგანიზაციების მოწყობას და ერთი მეორესთან შეთანხმებით მათ ამოძრავებას. დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნასთან ერთად მას ესაჭიროება ერთ მთლიან სისტემაზე აგებული ეკონომიური ორგანიზაციების მოწყობაც, რომლებიც მის საიმედო ბაზათ შეიქმნება.

კერძო ინტერესის და კერძო ინიციატივასთან ერთად დემოკრატია საჭიროებს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების წამოყენებას და დაცვას. დემოკრატიის სახელმწიფოებრივი აპარატი, მისი როგორც პოლიტიკური მექანიზმი, ისე ეკონომიური ორგანიზაცია უმთავრესად ფართე დემოკრატიულ წრეებს, მშრომელთა მასას უნდა ემსახურებოდნენ.

აქედან აშკარაა, რომ დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკის მთავარ მოთხოვნილებას კერძო წარმოებასთან ერთად საზოგადოებრივის და სახელმწიფოებრივის წარმოების აღორძინება და წარმატება წარმოადგენს. როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში თვითმართველ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინიციატივას უნდა გაეხსნას ფართე გზა.

დემოკრატიას მხოლოდ იმ პირობებში შეუძლია გამტკიცება, უკეთუ ის ეკონომიურათაც იქნება უზრუნველყოფილი; ამ მხრივ მისი უზრუნველყოფა კი მხოლოდ მის ეკონომიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ; ღარიბი და ღატაკი დემოკრატია იძულებული შეიქნება ძლიერის წინაშე ქედი მოიხაროს, მას ეკონომიურათ და მაშასადამე პოლიტიკურათაც დაემონოს. დემოკრატიის პოლიტიკური დამოუკიდებლობა პირველ ყოვლისა მისი ეკონომიური დამოუკიდებლობით, ეკონომიურათ გაძლიერებით უნდა გამაგრდეს.

ამიტომაც, დემოკრატიამ უნდა შექმნას ისეთი ეკონომიური მწარმოებელი და გამანაწილებელი ორგანიზაციები, რომ სახალხო მეურნეობა მართლა ხალხს, დემოკრატიას ემსახურებოდეს; თვითმმართველი სოციალისტური დემოკრატიის მოვალეობაა, რომ სახალხო სიმდიდრე მართლა ხალხს, მშრომელ ფართე მასსას ხმარდებოდეს; ის ხალხის კეთილდღეობას უნდა ჰქმნიდეს და ზრდიდეს და არა მისი პარაზიტებისას.

სახალხო სიმდიდრე, როგორც ვიცით, ორი სათავიდან მომდინარეობს: მრეწველობიდან, ანუ ინდუსტრიიდან და სოფლის მეურნეობიდან. ამიტომაც დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკის წარმოებისათვის საჭიროა სახალხო მეურნეობის ამ ორი მთავარი დარგის გამოცოცხლება და განვითარება.

სასოფლო მეურნეობის აყვავებისათვის საჭიროა შრომის იარაღების გაუმჯობესება, მანქანების შემოღება და როგორც ექსტენსიურათ, ე. ი. მეტი სივრცით, ისე ინტენსიურათ, კულტურულათ მიწის დამუშავება. ამ გზით სურსათის გამრავლებასთან ერთად მრავალთავე მოყვანილი და დამზადებული უნდა იქნას ნედლი მასალა, ურომლისოდაც მრეწველობას არ შეუძლია არსებობა და განვითარება.

ამისათვის თვითმმართველი დემოკრატიის მოვალეობას წარმოადგენს შექმნას და განამტკიცოს ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობას წარმატების გზით წაიყვანენ. ამავე მიზნით ამ დარგში დემოკრატიამ უნდა განახორციელოს ისეთი ზომები, გაატაროს ისეთი ღონისძიებანი და საშუალებანი, რომლებიც სოფლის მეურნეობას ქვეყნის საკეთილდღეოთ ააყვავებენ.

სამრეწველო დარგის, ანუ ინდუსტრიის განვითარებისთვისაც საჭიროა რამდენათ ამას თავზედ იღებს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვითმმართველი ეკონომიური ორგანიზაციების მოწყობა და ისეთი გაუმჯობესებული მანქანების შემოღება, რომლების საშუალებითაც სწრაფად და ნაყოფიერათ ხდებოდეს ნედლი მასალის გადამუშავება, ფაბრიკატების დამზადება.

ი. არეშიშვილი.

## უცხოეთი

### რუსეთი

**„დობროვოლიაში“.** მოხალისეთა სამეფოს ცხოვრების შესახებ შემდეგ ცნობებს იძლევა ნოვოროსიიდან ჩამოსული: მოხალისეთა ფრონტების დაშლა შეუჩერებლივ გრძელდება. ფრონტს სტოვებენ როგორც კერძო ჯარის კაცები, ისე ჯარის მთელი ნაწილები. დაბალ ლოვებითი გამოანგარიშებით ამ ბოლო ხანებში ფრონტი მიუტოვებია 28 ყაზახთა რაზმებს, რიცხვით 60 000 კაცს. ეკატერინოდარი და ნოვოროსიისკი გავსებულია გამოქცეულებით. ეკატერინოდარში პარტახტიანი ტიფი იმ ზომამდე გავრცელდა, რომ ბრძოლა ეპიდემიასთან შეუძლებელი ხდება. არ არის არც ერთი ოჯახი, სადაც ტიფით ავადმყოფი არ იწვეს. ეპიდემიის მსხვერპლი გახდა გენ. უსპენსკი. ქალაქში დიდი 3 ნკაა ნოვოროსიიდან ბათუმამდე სამგზავროს 100,000 მან. იხდიან. ლტოლვილების მდგომარეობა აუწერელია; მათ მხოლოდ დონის ფულები აქვთ, რასაც გზაზე არსად არ იღებენ. ნოვოროსიისკ-ბათომს შორის მოხალისეთა გემების მიმოსვლა სავსებით შეწყვეტილია; მხოლოდ იტალიის გემები დადიან, რომელზედაც გამოქცეულებს საზღაპრო ფასებს ახდევინებენ. როსტოვის ევაკუაციისა და ფრონტზე დამარცხების გამო ქალაქში დიდი „პოგრომი“ მოხდა. ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები აძარცვენ მაღაზიებსა და სხვა დაწესებულებებს და არავითარ მთავრობას არა სცნობენ. ოფიცრები ვერავითარ აქტივობას ვერ იჩენენ; პირიქით, ხშირათ ისინი თვით არბევენ, ან კიდევ იმალებიან. ჯარის გახრწნილებამ სავსებით იჩინა თავი ამ „პოგრომებში“. მოხალის. სამეფოს ისეთი გახრწნილება მოიდო, რომ ხელმეტია ლაპარაკი მოხალისეთა საქმის გამოსწორებისა და მათი გამარჯვების შესახებ. ჩამოსული პირის გადმოცემით დენიკინის საქმე ისევე გათავებულია, როგორათაც შეიძლება ჩაითვალოს კოლჩაკის საქმე.

**დენიკინის ბრძანება.** ფრონტზე დამარცხების გამო გენ. დენიკინმა შემდეგი ბრძანება გასცა: თანამედროვე მომენტი მოითხოვს სამოქალაქო მართველობის რეორგანიზაციას. ამიტომ 1) გაუქმებულ იქნას სპეციალური სათათბირო 2) გაუქმებულ იქნას კანონების განყოფილება და საფინანსო სამმართველო, 3) გაერთიანებულ იქნას სამხედრო მიმოსვლისა და გზათა მიმოსვლის სამმართველოები მიმოსვლის უფროსის მეთაურობით, 4) გაერთიანებულ იქნას სამხედრო და საზღვაო სამმართველოები სამხედრო-საზღვაო ნაწილის უფროსობით, 5) დაარსებულ იქნას მომარაგების მთავარი მმართველის თანამდებობა, რომელსაც დაექვემდებარებიან ყოველი მომარაგებისა და სანიტარულ ნაწილის უფროსები, 6) სეპარატიული განყოფილება დაემორჩილოს საშინაო საქმეთა სამმართველოს უფროსს, 7) შექმნილ იქნეს ჩემთან მთავრობა შემდეგის შემადგენლობით: ა) თავმჯდომარე, ბ) სამხედრო საზღვაო სამმართველოს უფროსი, გ) შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, დ) ფინანსთა, ე) მიმოსვლის, ვ) მომარაგების, ზ) ვაჭრობა-მრეწველობის და კ) იუსტიციის სამმართველოების უფროსები; 8) საგარეო საქმეთა სამმართველოს უფროსი და სახელმწიფო კონტროლიორი არ შედიან მთავრობაში და მემორჩილებიან პირდაპირ მე; 9) მიწათ-მოქმედებისა და სახალხო განათლების უფროსებიც არ შედიან მთავრობაში და მოხსენებებს უდგენენ ჩემთან არსებულ მთავრობას; 10) საგანგებო სათათბიროს საქმეთა მმართველი იქნება საქმეების მმართველათ ჩემთან არსებულ მთავრობისა და, მის კომპეტენციაში შევა აგრეთვე კანონების სამმართველოს უფროსის ფუნქციები; 11) ჩემთან არსებულ მთავრობასთან მოეწყოს საკანონმდებლო სათათბირო, რომელმაც უნდა განიხილოს ყველა კანონ-პროექტები, რომლებიც ჩემგან ან უწყებებიდან გადაეცემა და წარადგინოს შემდეგ ჩემთან არსებულ მთავრობაში.

### საფრანგეთი

**პრესა ოსმალეთთან ზავის ხელში კრუიზების შესახებ.** საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხს. გაზ. „ფიგარო“-ში საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი განოტო ამბობს, რომ ოსმალეთის საკითხი საფრანგეთმა შემარიგებლის როლი უნდა იკისროს; ხმელთა შუა ზღვაზე მშვიდობიანობის დასამყარებლათ საჭიროა სამართლიანათ გადაიჭრას საკითხში სრუტეების შესახებ. გაზ. „გოლუა“ მოითხოვს კონსტანტინოპოლი ოსმალეთს დარჩეს და ძლიობნავს, რომ თუ ეს საკითხი ასე იქნება გადაჭრილი,—საფრანგეთი დიდ სიმპატიას და გავლენას მოიპოვებს ოსმალეთში.

### გერმანიაში

ბერლინის გაზეთებში მოთავსებულია გერმანიის რადიოს შემდეგი ცნობა: გუშინდელი გამოსვლებით დამოუკიდებლებმა ნათლად დაანახვეს ყველას თავიანთი სისუსტე, 30—40 ათასამდე ბრბოს წინააღუდგა რამდენიმე ასეული კონსტაბლები. ყველა გაზეთები ერთხმათ აღასტურებენ, რომ პირველათ ბრბომ დაუწყო სროლა რეიხსტაგის შენობას. ბრბოში გაისმოდა ხმები: „ეს სახლი ეკუთვნის ხალხს, თქვენ იცით რა უნდა გააკეთოთ“. ამის შემდეგ ბრბომ იერიში მიიტანა დამცველებზე. ხალხში დიდი აღშფოთებაა, ზიზღით იხსენიებენ მათ, ვინც გუშინ დაიწყეს სისხლის ღვრა და მერე კი დროზე უშველეს თავს. კონსერვატიული გაზეთების ცნობით, დიდძალი უცხოელები, სახელდობრ რუსები ერივნენ ბრბოში. საზოგადოებრივი აზრი ამ აჯანყების დამარცხების მიზეზათ სთვლის მთავრობის მიერ დროზე ენერგიული ზომების მიღებას. ყოველივე ცდას პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ მიმართულს, ასეთივე ბედი ეწვევა. აჯანყებულთა დასამშვიდებლათ მთავრობას არ დასჭირდება რიგულიარულ ჯარების დახმარება. სოციალისტების მეუმრავლესობის კომიტეტი თავის მოწოდებაში ჰკიცხავს დამოუკიდებლებს და კომუნისტების აგიტატორებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით აღამიანთა სიცოცხლეს სწირავენ და მოწოდებაში ურჩევენ მუშებს ნუ დაუჯერებენ დამოუკიდებლების ყალბ ცნობებს. დილიდანვე კონსტაბლიანები სდარაჯობდნენ რეიხსტაგის და პრეზიდენტის რეზიდენციის მახლობელ ქუჩებს. ნაციონალური კრების განდარა გაჭედილი იყო ხალხით. თითქმის ყველა დეპუტატები იყვნენ თავიანთ ადგილებზე. როდესაც კანცლერმა ბაუერმა დაიწყო დეკლარაციის კითხვა, დამოუკიდებლებმა ასტეხეს ყვირილი და დაიწყეს ხმაურობა. თავმჯდომარემ არა ერთხელ მოუწოდა დამოუკიდებლებს არ დაერღვიათ წესიერება. კანცლერის სიტყვა დაუნდობელი კრიტიკა იყო დამოუკიდებლების. პარლამენტის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევები, რასაც ჰქონდა ადგილი გუშინ. მეორე განზრახვა იყო ქუჩის მიერ მიღებია პარლამენტისათვის თავზე თავის დიქტატურა. კანცლერმა განაცხადა, რომ დეპუტატები უნდა უმადლოდნენ კონსტაბლებს სიმამაცეს, რომელთაც გადაარჩინეს ნაციონალური კრების წევრები სიკვდილს. ბრბო რომ შემოსულიყო რეიხსტაგის შენობაში, ბართლომეს ღამე დატრიალდებოდა. კანცლერმა სიტყვის დასასრულს განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მომენტის სირთულე და ის მიიღებს ყოველივე ზომებს აჯანყებულთა წინააღმდეგ. კანცლერის სიტყვას ტაშით შეხვდნენ ყველა პარტიები, გარდა დამოუკიდებლებისა.

გერმანიის პრესა ერთსულოვნათ ჰკიცხავს დამოუკიდებლების და კომუნისტების გამოსვლას, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. „ფორვერტსი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ ფაქტს, რომ გამოსვლების დროს პოლიციამ დიდი მოთმინება გამოიჩინა და იარაღს ხელი არ მოჰკიდა, ვიდრე ათიოდე პოლიციელი მძიმეთ არ იქნა დაჭრილი. გაზეთი სწერს: „ის, რაც მოხდა რეიხსტაგის მახლობლათ, არის პოლიტიკური დანაშაული. მუშების დანთხეული სისხლი იმათ კისერზეა, ვისაც დემონსტრანტები დღეს ამ გზისაკენ მიიყვანეს. ყოველივე ამის პასუხი უნდა აგონ დამოუკიდებლებმა და კომუნისტებმა, მათ არ მიიღეს არავითარი ზომები, რომ დემონსტრაცია მშვიდობიანათ დამთავრებულიყო. მთავრობა და მისი ორგანოები არ არიან დამნაშავენი მომხდარ სისხლის ღვრაში. ბნელმა ელემენტებმა მიზანს მიაღწიეს, სისხლის ღვრა მოახდინეს და აღელვება გამოიწვიეს მუშათა წრეებში საალყო წესების გამოცხადებაც აგიტატორების ანგარიშში შედიოდა. „ბერლინ. ტაგებლატი“ მომხდარ ამბების შესახებ სხვათა შორის სწერს: რომ უმცირესობათა მიერ რევოლუციონურ გზით არსებულ წესწყობილების დამხობას, დემოკრატიული სახელმწიფო იარაღით უნდა აღუდგეს წინა.

### თხმალეთი

**სოციალისტი დეპუტატი.** ქ. კონსტანტინოპოლიდან პარლამენტში არჩეულ იქნა 11 დეპუტატი. მათ შორის ერთი ნუმან-ეფენდი სოციალისტია, ქარხნის ხელოსანია, რომელიც ნაციონალურ სოციალისტებმა და სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებმა წამოაყენეს კანდიდატათ.

### ამერიკა

**ამერიკის ფლოტი.** როგორც ვაშინგტონიდან გაზ. „ტეიმს“-ს ატყობინებენ ჩრდილოეთ ამერიკის საზღვაო კომისიას 1921 წლისათვის განზრახვა ჰქონია შეუკვეთოს შემდეგი სამხედრო გემები: 2 დრედნოუტი, 1 სამარი კრეისერი და 2 ჩქარმავალი კრეისერი. კომისიას განზრახვა აქვს 1925 წლისათვის იმდენათ გააძლიეროს ამერიკის ფლოტი, რომ არც ერთი სხვა სახელმწიფოს ფლოტი არ სჭარბობდეს მას სიძლიერით.

## ზუგდიდის საერობო არჩევნებისათვის

მოქალაქენო! ზუგდიდის მაზრის მცხოვრებნო! 25 იანვარს მოხდება ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნები. ამ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ არჩევნები ხდება მხოლოდ ზუგდიდის მაზრაში და სხვაგან არსად. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ თქვენ წინა არჩევნებში შეცდომაში შეგიყვანეს და ხმა მიგაცემინეს სოც.-რევოლუციონერებისათვის, რომელთა საქმიანობა არავის არ უნახავს და ვერც ვერავინ ნახავს. ისინი, როგორც იცით, სამაზრო ერობაში შეადგენდნენ შედარებით უმრავლესობას, ხოლო ფედერალისტები ორ ქვეფობდენ ყოველმნიშვნელოვან საკითხს შორის და ამიტომ ჩვენი პარტია ვერ ახერხებდა ცხოვრებაში გატარებინა მნიშვნელოვანი საკითხები, გეგმები და მაზრის ცხოვრება ჯეროვან ნიადაგზე დაეყენებინა.

მოქალაქენო! ამ არჩევნებში თქვენთან მოვლენ სხვა და სხვა პარტიები. ეს იქნება პირველ ყოვლისა მესამე ნომერი ფედერებისა, რომელშიც თავისი კინკლაობით და უსაქმურობით დაღუპა ზუგდიდის ერობა.

არც ერთი ხმა 3 №-ს, რომელიც ცნობილია თავისი დაპირებებით, მაგრამ ამ დაპირებებს არას დროს არ ასრულებს და ვერც შეასრულებს.

თქვენთან მოვლენ აგრეთვე ნაც. დემოკრატები, თქვენ იცნობთ ბურჟუაზიის ამ დამცველებს და მათ ახლოს არ გაიკარებთ. არც ერთი ხმა—ბურჟუაზიის დამცველებს, მშრომელი ხალხის მტრებს. ისინი თქვენთან მხოლოდ ხმებისათვის მოდიან, თორემ ისე ქერივით ეზარებით: ეს მუდამ გახსოვდეთ და დიასცულათ შეხვდით მათ.

თქვენთან მოვლენ აგრეთვე ფედერალისტები, მათი ვინაობა თქვენთვის აშკარაა. დარწმუნებულნი ვართ, მათ თქვენ ზურგს შეაქცევთ და არც ერთ ხმას არ მისცემთ.

ყველა ხმები მიეცით სიას № 1-ს, რომლის მოღვაწეობის ნაყოფი და საქმიანობა ცნობილია არა მარტო ჩვენში, და რომელმაც იხსნა საქართველო, როგორც ოსმალთა ურდოების მიერ განადგურებისაგან ისე შინაური ანარქიის მიერ გაპარტახებისაგან და რომლის სალი პოლიტიკით ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა უკვე ფაქტათ გახდა.

მიეცით ხმა პირველ ნომერს. ეს ნომერია მუშა ხალხის ნომერი.

ეს ნომერია.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა

ამ ნომერს აძლევს ხმას მთელი საქართველოს სოფლის და ქალაქის მუშა ხალხი.

ნურც თქვენ ჩამორჩებით სხვებს.

დაამტკიცეთ, რომ თქვენც სხვა კუთხის ქალაქის და სოფლის მუშებთანა ხართ.

ხმა მიეცით მხოლოდ პირველ ნომერს.

გაუმარჯოს მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას!

## ღია წერილი

### დამფუძნებელ კრების წევრს ლ. შენგელაიას.

დამფუძნებელი კრების დეკემბრის 26-ის სხდომაში თქვენ გითქვამთ: „ზუგდიდის ერობის გამგეობის თავმჯდომარე მთელი წლის განმავლობაში სოც.-დემ. იყო, ხოლო წლის ბოლოს როცა სოც.-დემ. პარტიულმა კონკლაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მან გადადგომა მოისურვა. ამ რიგად სოც.-დემოკრატი ერთი წლის განმავლობაში თავმჯდომარედ იყო და როდესაც დადგა დრო ანგარიშის ჩაბარებისა, მაშინ გადადგომა მოისურვა“. (იხ. „შრომა“ № 2 ამა წლის).

მართალი გითხრათ, ამას თქვენგან არ მოველოდი. პარტიულმა ინტერესმა შეიძლება ბევრი რამ დაავალოს ადამიანს, მაგრამ ცილის დაწამება საკადრისი არ არის. მით უმეტეს, მგონია მიცნობთ, და სხვას რომ ეთქვა თქვენ არ უნდა დაგეჯერებიათ, თითქო მე ანგარიშის ჩაბარებას გაურბოდი და იმიტომ განვიზრახე გადადგომა.

არა მგონია, რომ დამფუძნებელი კრების წევრობა ისეთს უფლებას გაძლევდეთ, რომ ასე გალანძღოთ უბრალო კაცი. არ ვიცი, ვინ მოგაწოდათ ასეთი ცნობა, ხოლო ეს თქვენი სიტყვა რომ წაიკითხე თქვენს პარტიულს ამხანაგებს აქ, არ მოეწონეს საქციელი.

ჩემი გადადგომის განზრახვის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ხმოსანთა საბჭომ გამოიტანა ახლა უკვე ცნობილი რეზოლიუცია ერთდროული გადასახადის შესახებ, მე არ შემეძლო ხელმძღვანელობა გამეწია მისი ამსრულებელი ორგანოსათვის და თავადაც პრაქტიკულად მეხელმძღვანელა ხსენებული რეზოლიუციით.

ეს იყო და ეს. ამას დაგიდასტურებთ სხდომის ოქმები.

ჩემი მოქმედება უდრეკად დემოკრატიული და პარლამენტარული იყო.—არ გეწყინება საბჭოს აზრს ამ საგანზე. მაშასადამე არც შემეძლო მისი გამგეობის თავმჯდომარეობა.

ხოლო თუ დავრჩი თავმჯდომარედ, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც თითქმის საბჭომ ერთხმად მიხოვა დარჩენა და მიიღო ჩემ მიერ წამოყენებული პირობები, სხვათაშორის ერთდროული გადასახადის შესახებაც, რომლის გაწერისა და აკრეფას მაზრაში მე მოვითხოვდი უეცილებლად თანახმად დამფუძნებელი კრების დადგენილებისა. თქვენ კი ბრძანებთ ანგარიშს გაურბოდაო!

გთხოვთ მიპასუხოთ, რომელი სინდისის ძალით მიეცით თქვენ თავს ნება, რომ დამფუძნებელი კრების კათედრიდან ასე შემაგინეთ ღირსება?

დამეთანხმეთ, რომ დეპუტატს მმართებს დაკვირვებული ლაპარაკი, აწონილ-დაწონილი სიტყვა, ვინაიდან მას უსმენს მთელი ქვეყანა.

ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე დიტო შენგელაია

ქ. ზუგდიდი

15 იანვარი.

## თანამედროვე მდგომარეობა და საქართველოს საკითხი

(ამხ. აკ. ჩხენკელის მოხსენებიდან)

(დასასრული)

მაგრამ ამ შემთხვევითი მიზეზის გარდა იყო უფრო ღრმა მიზეზი, რაც წინ ეღობებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ რუსეთი გამარჯვებულ სახელმწიფოების მოკავშირე იყო.

თავიანთ მოკავშირეთ შეთანხმების სახელმწიფოები ხედავდენ რუსეთს, როგორც მთლიან სახელმწიფოს. მათთვის გასაგები იყო პოლონეთის და ფინლიანდიის ერთა თვითგამორკვევაზე ლაპარაკი, რადგანაც ასეთ მოთხოვნილებას დიდი ისტორია ქონდა, მაგრამ თუ ასეთსავე უფლებას მოითხოვდენ რუსეთში მობინადრე სხვა წვრილი ერებიც,—ამას ისინი ვერ დაუშვებდენ მოკავშირე რუსეთის მიმართ, რომლის საშინაო საქმეებში ჩარევას ისინი დიდათ უფრთხილდებოდენ. ასეთი მოქმედება მათ შეეძლოთ მხოლოდ მომტრო სახელმწიფოში; ასე მოიმოქმედეს მათ, მაგ., ავსტრო-უნგრეთში, მიუხედავათ იმისა, რომ იქაური ერთა ეკონომიური ინტერესები მათ კავშირს უფრო მოითხოვდა და „თვითგამორკვევა“—დამოუკიდებლობა—მხოლოთ დამღუპველი იქნებოდა ამ ერებისთვის.

ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ რომელიც აიძულებდა მოკავშირეებს არ ეცნოთ წვრილი ერების და მათ შორის ჩვენი დამოუკიდებლობა, პარიზში გამომუშავებული საზავო პირობები უნდა ჩაითვალოს. ეს პირობები მიზნათ ისახავს მშვიდობიანობის დამყარებას ევროპაში. ამისათვის კი, მათის აზრით, საჭირო იყო მთლიანი რუსეთის არსებობა, რომელიც შესძლებდა ფარით გადაქცეულიყო ევროპისათვის; იგი, მთლიანი და მძლავრი, დამარცხებული იქნებოდა ევროპისა და აზიის შუა და გერმანიის შეკავების მშვიდობიანობისათვის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქართველოს წარმომადგენლების მუშაობას დასავლეთ ევროპაში საქართველოს სა-

კითხის პოპულიარიზაციის მიზნით და აღნიშნა ამ მუშაობის ორი ხასიათი: ერთი—მუშაობა ინტერნაციონალში, როგორც საქართველოს სოციალდემოკრატიის წარმომადგენლის და მეორე—საერთო ხასიათის მუშაობა, აგიტაცია-პროპაგანდა პრესაში და საზოგადოებაში. პირველათ საქართველოს საკითხი საერთაშორისო ნიადაგზე ინტერნაციონალმა დააყენა. საქართველოს დამოუკიდებლობა პირველათ სწორეთ ინტერნაციონალმა აღიარა. საქართველოსადმი დიდ სიმპატიას იჩენდნენ ნეიტრალური სახელმწიფოებიც მაგრამ ისინი ვერ ჩქარობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში მანამდე, სანამ დიდ სახელმწიფოებს არ გადაეჭრათ ეს საკითხი. ამ მხრივ ყველაზე უფრო სასიხარულო და მნიშვნელოვანია არგენტინის მოქმედება, რომელმაც პირველათ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (ტაში) დღეს კი, როდესაც უმაღლეს საბჭომ და მასთან 22 სახელმწიფომ აღიარეს საქართველო,—ნეიტრალური სახელმწიფოები არ დააყოვნებენ და მალე იცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საერთოდ რუსეთის საკითხს და აღნიშნა ის მიზეზები, რაც აფერხებდა რუსეთის საკითხის გადაჭრას. რუსეთის ბოლშევიზმი ამ ჟამათ განიცდის თავისი განვითარების მეორე ხანას, როდესაც მას აშკარა იმპერიალისტური ტენდენციები ეტყობა. საქართველოსა და რუსეთს შორის არას დროს არ ყოფილა მჭიდრო ეკონომიური კავშირი; საქართველო მხოლოდ ბაზა იყო რუსეთის იმპერიალიზმისათვის. ასეთივე ბაზათ უნდა გაიხადოს იგი დღევანდელ მებრძოლ, იმპერიალისტურ ბოლშევიზმსაც. ამიტომ დამოკიდებულება უკანასკნელთან მხოლოთ უარყოფითი შეიძლება. მომხსენებელი აღნიშნავს საქართველოსა და სხვა წვრილ ერების მომავალში რუსეთთან ფედერატიულად დაკავშირების მიზანშეუწონლობას; მისი აზრით რუსეთს თვით ესაჭიროება ფედერატიული მართვა გამგეობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მსგავსათ,—იმდენათ დიდი და მრავალ-ფეროვანია ის მხარეები, რომლებიც რუსეთის ვრცელ ტერიტორიას შეადგენ: საჭიროა კერძო შტატებათ დაიყოს რუსეთი, მაგ. დონის, ურალის, ჩრდილოეთის რაიონები, სადაც განსაკუთრებული სახე უნდა ქონდეს მართვა-გამგეობას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საკითხს, შეუძლია საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლათ არსებობა, თუ არა და ამბობს, რომ მისი ეკონომიური სიმდიდრე, მისი გეოგრაფიული მდებარეობა აზიასა და ევროპას შორის თავდებია იმის, რომ საქართველო შესძლებს შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და შინაური ცხოვრება ააყვაოს.

საჭიროა მხოლოდ ყველამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ შეისისხლხორცოს დამოუკიდებლობის იდეია, დასავლეთ ევროპაში ელემენტარულ ცნებათ გადაქცეული ის ჭეშმარიტება, რომ ერს აქვს უფლება თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობისა. ჩვენში კი ზოგიერთს დღემდეც ვერ წარმოუდგენია (შეიძლება, ეს გრძნობა არ არსებობდეს 12 იანვრის შემდეგ) და ვერ შეურიგებია იმ გარემოებას, რომ ჩვენ რუსეთთან არა ვართ, რომ მას ჩამოვცილდით. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ ისინიც იძულებული იქნებიან ამ დიად ისტორიულ ფაქტს ანგარიში გაუწიონ. (ტაში)

მოხსენების გათავების შემდეგ პ. საყვარელიძის მოწოდებით კმაყოფილი საზოგადოება მისალმების დეპეშებს უგზავნის აღერბეიჯანს, სომხეთს და მთიელებს. საზოგადოება ტაშის ცემით იღებს ამ წინადადებას.

# სამაზრო არჩევნები ზუგდიდის მაზრაში

25 იანვარს მთელ ზუგდიდის მაზრაში დანიშნულია სამაზრო საერობო არჩევნები. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აყენებს შემდეგ კანდიდატებს № 1—სიით:

**წალენჯიხის პირველი საარჩევნო ოლქი.**

1. ლეო მიხეილის ძე შენგელაია.
2. იოსები ანტონის ძე კვარაცხელია.
3. სამსონი შონია.
4. პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა.
5. არისტრახ შამუგია.
6. დიმიტრი ჯაბეს ძე სამუშია.
7. ანტონ შონია.
8. კოკუსანი ხასია.

**ზუგდიდის პირველი საარჩევნო ოლქი.**

1. ალექსანდრე ბიტუს ძე ჩიქავა.
2. გიორგი ნესტორის ძე ჭედია.
3. კაჭე ჩიქოვანი.
4. ალექსი შავეს ძე დარასელია.
5. დიანოზი ნესტორის ძე ცხაკაია.
6. მიხა ივანეს ძე შამუგია.
7. კალისტრატე ხუფენია.
8. სტეფანე გურგენიძე.
9. ანტონი ჯანაშია.
10. მიხა კოდუა.
11. იასონი გედენავა.

**ხობის საარჩევნო ოლქი.**

1. დიომიდე თოფურიძე.
2. დიმიტრი ივანეს ძე გვასალია.
3. ნესტორ მიხეილის ძე ადამია.
4. მიხა ივანეს ძე ტურავა.
5. [illegible] კონსტანტინის ძე ცხომარია.
6. ისლამ კიკოს ძე დოლბაძე.
7. იაგორა გვაძაბია.
8. კოლია გოჯის ძე კალანდია.
9. ნესტორი ჭანტურია.
10. ლევანი გაიოზის ძე ზარანდია.

**წალენჯიხის მეორე საარჩევნო ოლქი.**

1. ერასტო დავითის ძე კაჭარავა.
2. მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა.
3. მიხა ლემონჯავა.
4. ანდრუშკა ვეკუა.
5. ტროფიმე ნიკოს ძე სიჭინავა.
6. ივანე მალანია.
7. პეტრე ბაკუს ძე ბერულავა.

**ზუგდიდის მეორე საარჩევნო ოლქი.**

1. იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი.
2. ექვთიმე სართანია.
3. იონა ჩუხუა.
4. ქვაჩალა ბიღათურია.
5. ბესარიონი ვეკუა.
6. ანტონი ჯანაშია.
7. სოკრატი ლურწკაია.
8. სიმონ ადამია.
9. ბაგრატი რაფავა.
10. ფილუ როგავა.

**ქ. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი.**

1. გიორგი ნესტორის ძე ჭედია.
2. ბაგრატ ივანეს ძე ჩ[illegible].

## ერობათა ცხოვრება

**გურიის ერობაში.**

აგრარული რეფორმის გატარების საქმე გურიაში კარგად მიმდინარეობს. პირველი ნახევარი რეფორმისა—მიწების კონფისკაცია უმტკივნეულოდ დასრულდა და ერობა უკვე შეუდგა წინასწარი მუშაობას მის დასარიგებლათ უმიწაწყლოთა შორის. რომ რეფორმის ეს ნაწილიც უმტკივნეულოდ გატარდეს და მიწებიც სამართლიანად განაწილდეს, ერობამ გადასწყვიტა სავსებით გამოიკვლიოს მაზრაში არსებული მიწათმფლობელობისა და მიწით სარგებლობის სახე. ამ მიზნით გამგეობა შეუდგა ფართო სტატისტიკური ცნობების შეკრებას თანახმად საადგილ-მამულო განყოფილების მიერ შედგენილ ცხრილისა. ეს ცხრილი შეიცავს შემდეგ ცნობებს: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი ოჯახის უფროსისა, 2) ოჯახის წევრთა რაოდენობა (მამაკაცი სრულ წლოვანი, მცირე წლოვანი, დედაკაცი სრულ წლოვანი, მცირე წლოვანი, სულ), 3) რამდენი აქვს თავისი საკუთარი მიწა ოჯახს (საშოსახლო, საყანე, ბაღათ გაშენებული, საბალახო, ტყე-ბუჩქნარი), 4) რომელ საზოგადოებაში ძევს საკუთარი მიწა, 5) რამდენი აქვს ფონდიდან მიწა იჯარით აღებული (აქაც დაყოფილია კატეგორიებათ მეურნეობის მიხედვით), რომელ საზოგ. ძევს საფონდო-საიჯარო მიწა, 7) მხოლოდ მიწის მეურნეობით ირჩენს ოჯახი თავს, თუ აქვს კიდევ სხვა წყარო, ე. ი. არის თუ არა ოჯახის რომელიმე წევრი სამსახურში, თუ არის რა სამსახურში, ვაჭრობს და სხვ.

ამ ცნობებს ერობა ჰკრებს მასწავლებლების საშუალებით, ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სტატისტიკურ განყოფილებას. 4 იანვარს მოწვეული იქნა თათბირი სახალხო მასწავლებლებისა, დაესწრენ თემიდან თითო მასწავლებელი. თათბირზე მასწავლებლებს აეხსნა აღნიშნული სტატისტიკური ცნობების შეკრების პრაქტიკული მხარე და დაურიგდა სათანადო ინსტრუქციები. ცნობები უნდა შეიკრიბოს 1 თებერვლამდე. მასწავლებლებს ეძლევათ შრომის ფასათ თვითეულ კომლზე 2 მან...

ამავე დღეს მოხდა მაზრაში მომუშავე სააგრარო კომისიების მდივნებისა და თითო წევრთა თათბირი, რომელზედაც, გამოირკვა რა წარსული მუშაობის შედეგი, შემუშავებული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა. სააგრარიო კომისიები უკვე შეუდგენ თხოვნების მიღებას ფონდიდან მიწის შეძენის მსურველთაგან და სხვა წინასწარ მუშაობას. სტატისტიკური ცნობების შეკრებისა და დამუშავების შემდეგ სააგრარიო კომისიებს საშუალება ექნებათ გამოარკვიონ უმიწაწყლოთა და მცირედი მიწის მქონეთა რიცხვი და მათ შორის სამართლიანად დაანაწილონ ფონდის მიწები.

— სამაზრო ერობის გამგეობამ გადაწყვიტა, მოაწყოს მაზრაში ოთხ ადგილას ხეხილებისა და ძვირფას მცენარეთა სანერგეები. ამ მიზნით, თანახმად აგრონომიული განყოფილების მოხსენებისა, გამგეობამ სანერგეების მოსაწყობი წინასწარი ხარჯებისათვის გადასდო 93,600 მან.

— ერობის გამგეობამ აკეთში სათემო მიწაზე მოაწყო საჩვენებელი მინდორი, სადაც წელს დასთესა 30 ქცევამდე პური.

გამგეობამვე მიიღო და მოაწყო ოზურგეთში არსებული საჩვენებელი მინდორი სამეურნეო სკოლით, რომელიც დღემდე სრულიად გაჩანაგებული იყო. ამ ჟამათ საცდელი მინდორი თანდათან უკეთესდება და სასურველ სახეს ღებულობს. მას ჰყავს ხელმძღვანელათ მიჩნეული მეტათ ენერგიული და მცოდნე აგრონომიული ტეხნიკი.

— ერობის გამგეობამ 12,800 მან. გადადო ჩოლოქის საზღვრის დაქირავებულ პირთაგან დაცვით გამოწვეულ 2 თვის ხარჯების დასაფარავად.

— ერობის გამგეობა შეუდგა მაზრაში სიმინდისა და ლობიოს შეძენას. ამ მიზნით მან გაიჩინა სპეციალური აგენტი, რომელიც თემების გამგეობათა საშუალებით იძენს სურსათს. ამავე მიზნით გამგეობამ ნატანების საბაჟოდან მიღებულ საქონლიდან გამოყო და სასურსათო განყოფილების აგენტს გადასცა მაზრაში სიმინდისა და ლობიოზე გადასაცვლელათ ისეთი ნივთები (შალები, მანუფაქტურა, თავსახურავები და სხვა), რომლებიც სოფელს ძლიერ ესაჭიროება. გამგეობა აგრეთვე ხელშეკრულებით შეეკრა მომარაგების სამინისტროს სიმინდისა და ლობიოს მიწოდების შესახებ; ამ მიზნით სამინისტროდან მიიღო ერთი მილიონი მანეთი მაზრაში სურსათის შესაძენათ.

— აკეთის თემში ცენტრის გამონახვის გარშემო ამ ბოლო დროს ადგილობრივათ თავი იჩინა უთანხმოებამ, რაც ძლიერ აფერხებს თემის მუშაობას. ამ დღეებში სამაზრო ერობის გამგეობამ გაარჩია ეს საკითხი და დაადგინა: რადგან მიზანშეწონილობა მოითხოვს, რომ აკეთის თემის გამგეობა დარჩეს იქ, სადაც თემის სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებია და ვინაიდან გამოირკვა რომ აკეთის თემის არსებული ცენტრი დაშორებული არის მხოლოდ ერთ სოფელზე—ვანზე, დანარჩენი ხუთი სოფლისათვის კი ის მისადგომია,—გამგეობა ადასტურებს არსებულ ცენტრს აკეთის თემისა და წინადადებას აძლევს ადგილობრივ საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ს. ვანთან მიმოსვლის საშუალების გასაადვილებლათ გზის გაკეთებით. სამაზრო ერობის გამგეობა კი თავის მხრივ მიიღებს ზომებს, რათა ეს სოფელი დაუკავშირდეს თემის გამგეობას ტელეფონის საშუალებით.

— გამგეობა შეუდგა 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. ამ მიზნით ერობის ყველა განყოფილების გამგეებს დაევალათ სასწრაფოთ წარმოადგინონ მათდამი რწმუნებულ განყოფილებათა ხარჯთ აღრიცხვა.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 15 იანვარს შედგა საქ. სოც.-დემ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან, მიიღო ცნობადობაში და გადავიდა შემდეგ საკითხზე. საზოგადო კრების მოწვევის შესახებ კრება ადგენს გაიმართოს პირველ და მეორე რაიონის წევრთა შეერთებული კრება, და მოწვეულ იქნას ამხ. აკ. ჩხენკელი, რომელიც გააკეთებს მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ ევროპაში. თანახმად მცირე კოლექტივების წარმომადგენლების განცხადებისა, კრება ადგენს: ეთხოვოს ჩვენს ორგანოს—გაზ. „ერთობის" რედაქციას, რომ მუშების წერილებსა და აგრეთვე მცირე კოლექტივების ამა თუ იმ სახის განცხადებებს თავის დროზე ათავსებდენ გაზეთის ფურცლებზე და უყურადღებოთ არ სტოვებდენ *).

კრება კოლექტივის ბინის გამოსაძებნათ ირჩევს სამი პირისაგან შემდგარ განსაკუთრებულ კომისიას.

უმუშევრად დარჩენილ ჩვენი ამხანაგების შესახებ კოლექტივი ადგენს, ეთხოვოს ვისაც ჯერ არს მიაქციონ სათანადო ყურადღება უმუშევრად დარჩენილ ჩვენს ამხანაგებს და გამოუძებნონ მათ შესაფერისი საქმე.

თედ. ხუხუნაიშვილი.

*) არ არის მართალი თითქოს რედაქცია „უყურადღებოთ სტოვებდეს" მოწოდებულ მასალებს. პირიქით, რედაქცია ცდილობს, რომ ასეთი მასალები დაჩქარებით მოათავსოს. ამიტომ, არ ვიცით რათ დასჭირდა მეორე რაიონის კოლექტივს ასეთი დადგენილება! თუ კოლექტივს საბუთი ჰქონდა მსჯელობისა ამ კითხვის შესახებ, ის მოვალე იყო ჯერ მოესმინა რედაქცია და შემდეგ გამოეტანა განაჩენი.

რედ.

## მუშათა შორის

თფილისის რკინიგზის რაიონი 26 დეკემბერს შედგა თფილისის რკინიგზის რაიონის მუშათა კრება, რომელსაც დაესწრენ სხვადა სხვა დარგის მუშები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) რაიონული კომიტეტის არჩევნები, 2) სარევიზიო კომისიის არჩევნები. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ილარიონ გიორგაძე, მდივნათ ილიკო გაჩეჩილაძე. არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ილარიონ გიორგაძემ, რომლის შემდეგაც გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: 1) ილარიონ გიორგაძე, 2) თეოფანე მეგრელიშვილი და ჩიჩუა ერთ ხმათ; მეისრეებისაგან: ჯულუხიძე, კანდიდატათ შამათავა.

კონდუქტორებიდან: გელენიძე, კანდიდატათ ნოე დოლიძე. ლიანდაგის მუშებიდან: ივლიანე ნიკოლაიშვილი, მის კანდიდატათ ტატიაშვილი, საქონლის სადგურის მუშებიდან — ამხ. დიმიტრი ლუკასძე ქელენტი, მის კანდიდატათ წითლიძე, საავთმყოფოდან: ჯორბენაძე—კომერციული და ტეხნიკური აგენტებისაგან გრიგოლ ცინცაძე.

დასასრულ მოხდა სარევიზიო კომისიის არჩევნები: არჩეულ იქნა ამხ. გიორგი ლომინტი, და ნაზარბეგოვი ივანე, მელიტონ სალუქვაძე; მათ კანდიდატათ არჩილ მახარაძე. რაიონული გამგეობა საჭიროთ სცნობს სექციებიდან თითო წევრის განთავისუფლებას, მუშაობის ნაყოფიერობისათვის. ამავე დღეს მოხდა თფილისის რკინიგზის რაიონული გამგეობის სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) რაიონული გამგეობის პრეზიდიუმის არჩევა, 2) სხდომებისათვის დღის დანიშვნა, 3) მოხსენებისათვის განცხადების დაბეჭდვა. პირველი რაიონული კავშირების თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ილარიონ გიორგაძე, უფროს ამხანაგათ თეოფანე მეგრელიშვილი, მეორე ამხანაგათ ვენიტი გელენიძე, მუდმივ. მდივნათ ილ. გაჩეჩილაძე. ვინაიდან გაჩეჩილაძე გაწვეულია შინ. საქ. სამინისტროში, აღძრულ იქნეს შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რათა გაჩეჩილაძე გაანთავისუფლონ და რაიონულ გამგეობას დაუბრუნონ. დასასრულ რაიონულმა კავშირმა დაადგინა: სხდომები რაიონული გამგეობის უნდა იმართებოდეს შაბათობით საღამოს სრულ 5 ს. ამასთან ერთად სთხოვს კავშირის ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელ კომისიას დაბეჭდოს 500 ცალი განცხადებები მოხსენებისთვის.

ქრისტინეშვილი.

## პროვინცია

ლაღიში (რაჭა). სოფელ ლაღიშში არსებობს საქსოვი სკოლა... ამ სკოლამ დიდი დახმარება გაუწია ახლო-მახლო მდებარე სოფლებს ამ სკოლის დაარსებას და შექმნას თავისი პატარა ისტორია აქვს. სკოლის დამაარსებელი და დღესაც იდეური ხელმძღვანელი ნინა ბაკას ასული კვეკვიძე არის.

1917 წელს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში მანუფაქტურის უქონლობით საქმე რთულდებოდა, ნინა შეხვდა ერთს თავის ნაცნობ ქალს, რომლისგანაც გაიგო, რომ ს. ქარელში არსებობს საქსოვი ქარხანა—ქ. თფილისის შინა-მრეწველობის საზოგადოების განყოფილება, სადაც მზადდება ყოველგვარი ნაქსოვები. ქ. ნინა ბევრს აღარ ფიქრობს და სრულიად უფულოთ, თავის ძმის დახმარებით მიემგზავრება ს. ქარელში.—რამდენიმე თვის განმავლობაში იგი სწავლობს საქსოვ მანქანაზე მუშაობას; მაგრამ ნინას სურვილების განხორციელებას ხელს უშლის უფულობა, ურომლისოდაც ქსელის აშენება შეუძლებელი იყო. ქსელი კი იმ დროს ღირდა არა ნაკლებ 1000 მან. ნინა მაინც არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, აგროვებს სათანადო ფულს, აშენებს მანქანას და მიაქვს სოფელში, სადაც აწარმოებს მუშაობას; მისი მიზანი იყო,—ქსელი შეეწირა საზოგადოებისათვის და უფასო სკოლა გაეხსნა, მაგრამ უფულობამ და საზოგადოების გულგრილობამ ქსელი ჩარჩენს ჩაუგდო ხელში. შემდეგ რაღაც სააქციონერო საზოგადოება, რომელმაც მაღალ სწავლის ფასების წესებით საშუალება მოუსპო ღარიბ ხალხს სწავლის შეძენისა. ეს ვეღარ აიტანა ნინოს კეთილმა გულმა. მან იშოვნა ფული, დაურიგა ყველა აქციონერებს და ქსელი გადაიტანა ს. ლაღიშში პირველ დაწყებითი სკოლის შენობაში და გამართა მშვენიერი სკოლა ორი საქსოვით და ერთი სართავით და ჩულქის მანქანით. ამის მოწყობაში მას დაეხმარა დაინტერესებული სოფლები: ლაღიში, ბაჯი, პატარა ონი და ქვედა შაორა. ამ ბოლო დროს დაწყებული და გაჩაღებული საქმე ნინამ გადასცა ერობას მე მომიხდა სკოლის დათვალიერება შემთხვევით, სადაც სახე გაბრწყინებული ნინა დამხვდა. თავის შრომის ნაყოფით გახარებულმა მთხოვა მადლობა გამოუცხადო სკოლის მოწაფეების და დაინტერესებულ სოფლების სახელით პირებს, რომლებმაც შემოწირულობის სახით გაიღეს თავიანთი წვლილი ამ კეთილ საქმისათვის: პატარა ონის დრამატიულ დასის დამაარსებელ ნიკანორ გრიგოლის ძე მასხარაშვილისაგან 150 მ., მელიტ. იოსელიანი 25 მ., №№ 5 მ., ლ. ქიქოძე 5 მ., რატიანი 10 მ., შაბაშვილი 7 მ., გულვანტელი 5 მ., Войше 3 მ., ჯაში 13 მ., ქიქოძე 5 მ. 50 კ., ჯაფარიძე 25 მ., მაკარი გრიგოლის ძე მასხარაშვილი 100 მ., ათანასე გრიგ. მასხარაშვილი 100 მ., ელპიტე დალაქიშვილი 10 მ., ა. ჯელიძე 3 მ., ქურხია 12 მ., ი. ჩიქვეტიძე 10 მ., ხარიტურიანც 10 მ., ბოკერიშვილი 10 მ., Ахмед-ханъ 30 მ., მიხეილ ლოლუა 5 მ., ალიბადე 50 მ., ანეტა გიორგობიანი 5 მ., ხიმშიაშვილი 5 მ., კალისტე ცხვირაშვილი 100 მ., არსენ მღვდლიძე 25 მ., ალფეზ ფარჯანიძე 25 მ., დავით სოხაძე 50 მ., ფ. პ. გაგოშიძე 15 მ., გიორგი ალ. ღვედაშვილი 25 მ., ალექსი გვენცაძე 15 მ., ემილი მღვენიშვილი 100 მ., ლონგინოზ მასხარაშვილი 100 მ., პლატონ ფოფხაძე 100 მ., გიორგი სვანიძე 50 მ., პ. რატიანი 50 მ., ვარლამი 20 მ., Агбали 50 მ.

X.

რუისი (ქართლი). 8 იანვარს იქმნა გამართული სოფელ რუისის სკოლაში სალიტერატურო საღამო, რომელსაც მოჰყვა მეორე განყოფილების მოწაფეების მიერ წარმოდგენილი კომედია „შობის წინ" და პირველი განყოფილების მოწაფეების მიერ—„ზარმაცობის გაკვეთილი".

წარმოდგენის შემდეგ იქმნა ანთებული შობის ხე, რომელიც იყო მორთული მეოთხე განყოფილების მოწაფეების ხელით დამზადებული სათამაშოებით. ადგილობრივი სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციამ უძღვნა საჩუქრათ მესამე და მეოთხე განყოფილების მოწაფეებს „კაკო ყაჩაღი" და „ელისო". დანარჩენი განყოფილების მოწაფენი ვერ იქმნენ ამ მხრივ დაკმაყოფილებულნი, რადგანაც შესაფერი წიგნები ვერ ვიშოვეთ. მოწაფეების გარდა დასწრება გარეშე პირთათვის ფასით იყო, და ამან მოგვცა შემოსავალი 413 მ. გასავალი იყო 66 მ. წმინდა შემოსავალი 347 მ. განათლების განყოფილების გამგის ნებართვით მოხმარდება სასწავლებლის წვრილმან საჭიროებებს, რადგანაც სასწავლებელი განიცდის დიდ ნაკლებულობას და წყარო კი არავითარი მოეძებნება.

გამგე ეკ. ლაკაშინიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ს. გოგოლესუბანში (ჩოხატაურის სათემო) გარდაიცვალა ახალგაზრდა ქალი სონია რაფაელის ასული სიხარულიძე, მისმა ნაცნობ-მეგობრებმა გადმომცეს 818 მანეთი და დამავალს განმენაწილებინა შემდეგ ნაირათ: 300 მანეთი გაზ. „ერთობის" ფონდისათვის, 200 მანეთი *) ჩოხატაურის სახალხო გვარდიის შტაბისათვის და დანარჩენი 318 მანეთი კი ადგილობრივ ს. გოგოლესუბნის წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ. ეს ფულები მე უკვე გადავეცი აღნიშნულ დაწესებულებებს.

პატივისცემით ირაკლი გოგოლაძე.

## ფოსტა

ოზურგეთი. მ. სიხაშვილს. გაზეთი გეგზავნებოდა და ახლაც გეგზავნება ოზურგეთის აგენტთან.

*) ფული მივიღეთ.


## განცხადებანი

31 ამა იანვარს, ქუთაისის საცდელი მინდორი ს. კულაშში

**საჯარო ვაჭრობით**

გაჰყიდის შვიდი ათას ფუთ ნაკელს.

(251-2-1) საცდელი მინდვრის გამგე.

ექიმი

**გ. ი. მირიანაშვილი**

შინაგანი სნეულებანი, ღებულობს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი შ. ა. ხარაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის [illegible] ახლო.

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

**გ. გ. მეგრაბიანი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ფილტვების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

**ექიმი ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი

**ნ. ლ. ცურიაშვილი**

იღებს შინაგან, საშვილოსნო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმ ნავასარდიანისა**

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) დაარსდ. 1880 წ. ყოველ დღე კვირის გარდა. „606" და „914" 11—12 საათ. ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი). გ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. [illegible]. ა. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ. კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი. ე. ა. ბორეეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ და შაბათი). ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა. ღარიბებს დარიგება უფასოდ. საავადმყოფოს დირექტორი (180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

**ექ. დონხინისა**

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 14 ტელეფ. 5—97 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინოტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

**ექიმი ვ. მ. მინარიშვილი**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ისმაილოვის ქუჩა № 28 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

**ა. ა. მონსე**

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით. ავადმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10 1/2—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

იღებს ავადმყოფებს დილისით 1—3 საათამდე. ისმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი [illegible]. სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 35.